საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 2015 წელი.

№207 (7852)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ უმძიმეს ზეწოლას გაუძლო და სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის წილების 60 პროცენტი ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს, 40 % კი მის საკუთრებაში არსებულ შპს „პანორამას“ დაუბრუნდება.

ტელეკომპანიის საქმეზე მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილება გუშინ საღამოს გამოცხადდა. წილებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ „რუსთავი-2“-ის ყველა ადვოკატმა, ერთის გარდა, სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.

რაც შეეხება მოსარჩელე მხარის – ქიბარ ხალვაშის სხვა მოთხოვნებს, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა არხის საავტორო უფლებების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. როგორც ცნობილია, ქიბარ ხალვაში ზიანის ანაზღაურების მიზნით 18 მილიონ დოლარს ითხოვდა.

ამასთან, მოსამართლემ ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებები ბათილად გამოაცხადა.

* * *

„რუსთავი-2“-ის იურისტის ზაზა ბიბილაშვილის განცხადებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

* * *

„რუსთავი-2“-ის საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში შესაძლოა, ქიბარ ხალვაშის მხარემაც გაასაჩივროს.

როგორც ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ სასამართლო პროცესის შემდეგ განაცხადა, მოსამართლემ მათი შვიდი მოთხოვნიდან მხოლოდ ორი დააკმაყოფილა.

„მოგეხსენებათ, ჩვენი სარჩელი სრულად არ დაკმაყოფილდა. მას შემდეგ, რაც გავეცნობით დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, გადავწყვეტთ, ჩვენც ხომ არ გავასაჩივროთ სააპელაციო სასამართლოში, იმ ნაწილში, რომელიც არ დაკმაყოფილდა. რაც შეეხება პროცედურებს სააპელაციო სასამართლოში, ის გაცილებით შემოკლებულია“.

მისივე თქმით, წილების ქიბარ ხალვაშსა და მის კომპანია „პანორამაზე“ აღრიცხვის გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ სასამართლოს სამი ინსტანციის გადაწყვეტილების შემდეგ მოხდება.

გუშინვე „რუსთავი-2“-ის ეთერით, ძართველი ხალხისთვის ჯოჯოხეთის მოწყობით დამუძრებულმა მანიაკმა ნიკა გვარამიამ უმწვავესი „რევოლუციური“ პროტესი გამოთქვა საძალაძო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო და სააპელაციო სასამართლოს მიმართა, მხარი დაუჭიროს „თავისუფალი მედიის ფლაგმანს“...

ნუკრი ქანთარია:

ადრე თუ გვიან საკაშვილი პასუხს აგებს!

⑤

მთელი ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს!

②

ასეთია საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული ეროვნული შეკრების მონაწილეთა ერთსულოვანი პოზიცია

„დოკუმენტის ასლებს, რომლითაც დასტურდება, რომ საკაშვილი სუკ-ის თანამშრომელი იყო, იგორ გიორგაძე ინახავს“

④

თამარ ჩიბურდანიძე:

საკონსტიტუციო სასამართლო ეროვნულ ხიფათს ვერ აცნობიერებს

⑥

◎ დღის ამოკრებიდან

რას ლაპარაკობს ტელემაყურებელი ამ დღეებში

– სააკანთ ბიჭის მიერ დირექტორად დანიშნული ნიკა გვარამია ხომ არა ხარ, უკადრებელს რომ კადრულობ და ღობეყორეს რომ ედები... შენ დაგირეკა ყოველ დილით მიშამ ოდესიდან ქინძის საყიდლად!..

გავამყარეთ ლარი და ბენზინიც გაიაფდება!

⑦

ბანკებმა მომხმარებლის უფლებების პატივისცემა ვერ ისწავლეს

⑥

არქიფო სეთურის გზით მავალნო!

③

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ესტონეთი მტკიცედ გვიჭერს მხარს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესტონეთის პარლამენტის პრეზიდენტ ეიკი ნესტორს შეხვდა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მასპინძელთან ერთად პარლამენტის ისტორიული შენობა დაათვალიერა და საპატიო სტუმრების წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

„ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, გავაფართოოთ თანამშრომლობა საქართველოსა და ესტონეთს შორის როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი მიმართულებით, რაც ორივე ქვეყანას სარგებელს მოუტანს“, — ნათქვამია ჩანაწერში.

მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების საკითხებზე და თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა სახელმწიფოთაშორისი საპარლამენტო ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებზე. აღინიშნა, რომ შექმნილია პარლამენტთაშორისი მეგობრობის ჯგუფები. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ასევე ქვეყნის ევროპული კურსისადმი ურყევი მხარდაჭერა ესტონეთის პარლამენტმა არაერთხელ დაადასტურა მიღებული რეზოლუციებითა და განცხადებებით.

ეიკი ნესტორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ესტონეთის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს მისწრაფებებისადმი, გახდეს ევროკავშირისა და ნატოს სრულფასოვანი წევრი.

◎ ინფორმაცია

მთავრობა დედაეკლესიას ეხმარება

საქართველოს მთავრობამ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადასცა. მთავრობის განკარგულების თანახმად, ეკლესიას უსასყიდლოდ გადაეცა 14 ერთეული ტრაქტორი, ერთი სათიბელა, 7 სამფრთიანი და 1 ხუთფრთიანი გუთანი, დისკებიანი ფარცხი, 5 კულტივატორი და 3 ერთეული სიმინდის სათესი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ“, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს ხელს, მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობის დაკავების უფლება მიეცათ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრებს, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნებს, ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობის დაკავების უფლება მისცა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „ნოდარ მუმლაური — საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№560) გადაწყვეტილება გამოიტანა.

„სადავო ნორმების თანახმად, ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრებს, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნებს, ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრებს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ეკრძალებოდათ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობის დაკავება.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის და მათ მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჩამორთმევა, მათი არა სამართლის სუბიექტებად, არამედ სამართლის ობიექტებად განხილვის ტოლფასია, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცული ადამიანის ღირსების უფლება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

უგანდელებიც დავაინტერესეთ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უგანდის სამთავრობო დელეგაცია სტუმრობს.

ვიზიტის მიზანი მიწის რეგისტრაციის ქართული სისტემის და იმ წარმატებული რეფორმების გაცნობაა, რომლებიც საჯარო რეესტრმა კორუფციის აღმოფხვრისა და სარეგისტრაციო პროცედურების გამარტივების მიზნით გაატარა.

დელეგაციის წევრები სამართლებრივი კუთხით განხორციელებულ ცვლილებებს და სააგენტოში განხორციელებულ ტექნოლოგიურ რეფორმებსაც გაეცნობიან.

უგანდის დელეგაციას მიწის, საბინაო მეურნეობისა და ურბანული განვითარების მინისტრი დაუდი მიგერეკო ხელმძღვანელობს. ამას გარდა, მის შემადგენლობაში სახელმწიფო მინისტრი ურბანული განვითარების საკითხებში როუზ ნაჯემბა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებიც შედიან. ამჟამად უგანდის მთავრობა, მსოფლიო ბანკის დახმარებით, კონკურენციისა და მეწარმეობის განვითარების პროექტს (CEDP) ახორციელებს. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კი ქვეყანაში მიწის სარეგისტრაციო სისტემის განვითარებაა.

◎ ხალხის პოზიცია

მთელი ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს!

ასეთია საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული ეროვნული შეკრების მონაწილეთა ერთსულოვანი პოზიცია

2 ნოემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული შეკრება, რომლის მონაწილეებმა იმსჯელეს ქვეყანაში ამჟამად შექმნილ ვითარებაზე, მისი გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზე, საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის უთუოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე...

შეკრება გახსნა „ლაზარეს“ დამფუძნებელმა და თავმჯდომარემ, პოეტმა რეზო ამაშუკელმა.

დამსწრეთ თავიანთი მოსაზრებები და პოზიცია გააცნეს ცნობილმა ჟურნალისტმა, უფლებადამცველმა და პოლიტოლოგმა ნანა დევდარიანმა, საზოგადოების „საქართველო ჩემი სამშობლოა“ ხელმძღვანელმა ალი ბაბაევმა, ჟურნალისტმა დავით მხეიძემ, არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ თავკაცმა ლადო სადღობელაშვილმა, საზოგადოება „ლაზარეს“ თავმჯდომარის მოადგილემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ალეკო ცინცაძემ და სხვებმა.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს განცხადება, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

საზოგადოება „ლაზარეს“ თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს ამ განცხადების თანმდევი მორალური პასუხისმგებლობა!

მეორე მხრივ, დანაშაულის ტოლფასი ხდება უმოქმედობა შექმნილ არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაში როგორც რეგიონში, ისე დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო!

ის პოლიტიკური ავანტიურა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები უმზადებენ ქვეყანას, სერიოზული შეშფოთების მიზეზს იძლევა, რაც საზოგადოების პოზიციის მკვეთრ და ხმამაღალ განცხადებას ითხოვს!!!

საზოგადოება „ლაზარე“ არ წარმოადგენს არც ერთ მოქმედ პოლიტიკურ ძალას, და ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული ინტერესებით, პოლიტიკური პროცესები ქუჩაში არ უნდა გადავიდეს, რასაც ასე მონდომებით გეგმავს ნაციონალური მოძრაობა!

დღევანდელი შეკრების მონაწილეები ვაცხადებთ:

ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დაცვა მმართველი პოლიტიკური ძალისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მოვალეობაა და მათ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რათა თავშივე აღკვეთონ დესტაბილიზაციის ყველა მცდელობა!

შეკრების მონაწილეებს მიგვაჩნია, რომ შექმნილი არაჯანსაღი სიტუაციის სათავე ქვეყნის გარედან შემოთავაზებულ და შიდა ძალებით მხარდაჭერილ ე.წ. კოჰაბიტაციურ პროცესშია.

საზოგადოება „ლაზარე“ მოითხოვს:

1. სამართლიანი სასამართლოს პირობებში შედგეს საქართველოს სინამდვილეში უპრეცედენტო სასამართლო პროცესი და გასამართლდეს მთელი ნაციონალური მოძრაობა, მისი იდეოლოგები და დამკვეთები, და არა მხოლოდ აღმსრულებლები!

2. სამუდამოდ აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური პარტია და გამოვლენილ იქნას მისი ნებისმიერ სახეცვლილება, რომელიც შესაძლებელს გახდის მისი რაიმე ფორმით რეანიმაციის შესაძლებლობას!

3. კანონიერების ფარგლებში, დემოკრატიული პროცესების გათვალისწინებით, აღიკვეთოს მასმედიის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის გამოყენების მცდელობები!

4. საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდეს ჭეშმარიტად სახალხო!

5. დემოკრატიისა და თავისუფალი არჩევნების საერთაშორისო პრინციპების დაცვით, განთავისუფლდეს ქვეყნის ყველა უმთავრესი და სახელმწიფო ინსტიტუცია (ძალოვანი, საგანმანათლებლო და ა.შ.) ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩანერგილი არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი კადრებიდან. და შეიქმნას საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობა!

საზოგადოება „ლაზარეს“ მიაჩნია, რომ თუ ხელისუფლება ამ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს და ერთხელ და სამუდამოდ არ აღკვეთს ნაცმოძრაობის სატელიტი პარტიებისა და უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების დემაგოგიურ გამოხდომებს, მაშინ პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს და შეუქცევადი და უმართავი გახდება!

მოსალოდნელ შედეგებზე მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებასა და მმართველ პოლიტიკურ ძალას დაეკისრება!!!

განცხადების ტექსტი დაეგზავნება უცხოეთის ქვეყნების საელჩოებს და გამოქვეყნდება პრესაში.

„ლაზარეს“ გაფართოებული ეროვნული შეკრების მონაწილეების სახელით — რეზო ამაშუკელი

საქართველო, თბილისი 2015 წლის 2 ნოემბერი.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● სააკაშვილი ყველა ბრუნვაში:
ქინძი
ქინძმა
ქინძს
ქინძის
ქინძით
ქინძად
ქინძო
ქართული გრამატიკა. მე-2 კლასის სახელმძღვანელო.

● „Je suis ნოდარ მელაძე!“ — განაცხადა ტრაწიანმა კატამ “.

● ქართული დემოკრატიის უუუდიდესი გამარჯვებაა, როდესაც თავდაცვის მინისტრი აცხადებს: — ჩემი ხელით შემყავს ოქმები, არავის ვენდობი, არჩევნები მომნატრებია!

ასეთი დემოკრატია ჰქონდათ სადამ ჰუსეინს, კადაფს, მულა მუჰამედ ომარს (ავღანეთი) დ.ა.შ.

ერთი პატარა ნაბიჯიღა გვაკლია. მთავარია შსს მინისტრი საოლქო კომისიაში დაჯდეს და „ევროპა გაოცდება“.

არადა, ნამდვილად არ მახსოვს, რომ ჟუკოვს, გრეჩკოს, ან გერინგს ოქმები თავიანთი ხელით „შეეყვანათ“.

● რა მინდა გკითხოთ (ცერა და საჩვენებელი თითების ტუჩების კუთხეებზე ჩამოსმის სმაილი): — ბლანჟეიანი კაცები რო კოცნაობენ, დენი არ ურტყამთ?

● ამ ჩვენმა საწყალმა, ბეჩავმა, გაჭირვებულმა, გაუბედურებულმა, ბოგანო, დაჩაგრულმა, უპატრონო, უსახლკარო... „რუსთავი-2“-მა გრანდიოზული „ნიჭიერი“ დაიწყო...

● ნეიტრალიტეტი რომ გამოვიცხადოთ და ჯარი მხოლოდ არჩევნებში გასამარჯვებლად დავიტოვოთ?

„ — ჰა, რავარია?..
— იფ, იფ, იფ, იფ, იფ!“

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

№207. ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 2015 წელი.

რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას?

რეჟისორი რობერტ სტურუა საქართველოში ამერიკის ელჩს იან კელის მიმართავს და ამის შესახებ განცხადებას ავრცელებს:

„ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა და დემოკრატიის პრინციპები, რომელიც ამერიკის პატრიარქებმა ჩამოაყალიბეს ფრანგი განმანათლებლების ნაშრომებზე დაყრდომით; მაგრამ მინდა შეგეკითხოთ და, იმედია, პასუხსაც მომახსენებთ, (თუ სერიალი The House of Cards მთლად სიმართლე არ არის): რას ერჩით ჩემ პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენ მიწაზე — ნავთობი თუ ოქრო, ასე რომ ზრუნავთ ქართველებზე? დღეს, როცა ყველაფერს უსმენენ, ხედავენ, ისე რომ ტუალეტში შესვლა გრცხვენია, ქალის კოცნაზე ხომ არაფერს ვამბობ, პანიკური შიში მიპყრობს — კოსმოსიდან გვიცქერენ — რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა, მოსპო დემოკრატია, გახრწნა და ფულებით გაბერა ვიღაც-ვიღაცა ჩინოვნიკები; რატომ ურეკავთ, არიგებთ და ასე საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, ვისაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა (მით უმეტეს, რომ CIA-მ ყველაფერი იცის?)

იქნებ ამიხსნათ, რა ბოროტება დაატყდა ჩვენ პატარა ერს, რომ ხალხის სურვილს არ ითვალისწინებთ, და გვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ თუ როგორ მოვიქცეთ? თუ რაღაც დიდი სტრატეგიული საიდუმლო არ გახლავთ, ბატონო ელჩო, თუ ამის უფლება გაქვთ, დიპლომატიურად მაინც მიპასუხეთ.

ამერიკის პატრიოტი
რ. სტურუა!

P. S. თუ ინებებთ, პრეზიდენტებზე ცალკე ვისაუბროთ!“

◎ ვინ ხართ, თქვე უბედურებო?

არქივო სეთურის გზით მავალნო!

საზღვარი არა აქვს ნაციონალური მოძრაობის ჭკუანაღრძობი აქტივისტების გამოხდომებს. მიზანი ერთია: შავი აქციონ თეთრად — მათი ავადმყოფი ბელადი მოჭიკჭიკე იადონად წარმოგვიდგინონ. მათი არც ერთი გამოხდომა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. „რუსთავი-2“-ის „ვარსკვლავმა“ ნანუკა ჟორჟოლიანმა რამდენიმე კვირის წინათ უკრაინაში მოინახულა ნაცმოძრაობის მთავარი იდეოლოგი, ყოფილი იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი. ეს „ისტორიული“ შეხვედრა დაფიქსირდა „ცრუსთავი-2“-ის სპეციალურ გადაცემაში. უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ წკეპლიკა ნანუკა ჟორჟოლიანისადმი, იმ გადაცემის გამო.

ჩემო მშვენიერო ნანუკა!

სულ ახლახან, „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან შევიტყვე, შენი ისტორიული შეხვედრის შესახებ ნაცმოძრაობის „სახელოვან“ იუსტიციის მინისტრთან, ყველასათვის „საყვარელ“ ადეიშვილთან. შენ, ნაცმოძრაობის მეხოტბემ, ნაცების საქმიანობით შთაგონებულმა, ისეთი გადაცემა მიუძღვენი მას, ძნელად თუ ვინმეს ეღირსებოდა. რამ მოგაფიქრებინა ჩემო შანსიანო ქალბატონო, ასეთი სცენარი. როგორ დადნა და დაიბანგა ბედუკუღმართობით გაწამებული, სამშობლოს კალთას მოწყვეტილი მზეჭაბუკი შენი ჩატანილი კახური ღვინის, ჩურჩხელების, ყველის, დედასპურების და სხვადასხვა ნუგბარის ხილვისას. ისე, შენს ნობათს აკლდა ზოგიერთი რამ, რაც მეტად გაალამაზებდა და უფრო მიმზიდველს გახდიდა ამ მართლაცდა ისტორიულ შეხვედრას: კერძოდ, ეს ბრძენი მოღვაწე განა მარტო კახეთის საკუთრებაა, იგი მთელ საქართველოს ეკუთვნის და უპრიანი იქნებოდა მისთვის ჩაგეტანა შენი მშობლიური წყალტუბოური ტყემალი, შემწვარი სამტრედიული კვატიე, ტყლაპი და კვაწარახი, მეგრული სულუგუნი და ცხარედ შეკაზმული გურული ამოლესილი ლობიო... ჩვენი ზურიკოც ზეკმაყოფილი დარჩებოდა, იგი ხომ ხალხის ნათელი მომავლისათვის მებრძოლი მზეჭაბუკია, დღესაც ახსოვს მისი მზრუნველობა მრავალ ქონებაწართმეულს, გაუპატიურებულ მამაკაცს, ძვლებდალეწილ-ნაგვემ მოქალაქეს.

ფაშისტური წამების ბანაკების ოსვენციმის, დახაუს, ბუხენვალდის კედლებს წამების როგორი მეთოდები არ ახსოვს ადამანებისა, მაგრამ მამაკაცის გაუპატიურების ესკლუზივი ადეიშვილის და მისი ბელადის კუთვნილებაა. ყოველივე ასეთი საზიზღრობის შემდეგ ნაცები სიამოვნებით უყურებდნენ და ტკბებოდნენ საკუთარი ნაღვაწით.

შემდეგი შენიშვნა ასეთია, ჩემო შეუდარებელო ნანუკა, წაგეყვანა შენთან ერთად შენსავით გულდამწვარი ეკუნია კვესიტაძე, კაკოიე ბობოხიძე, ყინწვისის ხატის შესადარი ხათუნა გოგორიშვილი... რა, შეგარცხვენდნენ გიორგი კანდელაკი ან ნუგზარ წიკლაური? მრავალნი უნდა წასულიყავით, რა თქმა უნდა, შენი ხელმძღვანელობით. მიკვირს, როგორ დაავიწყდა რჩევის მოცემა ბლანჟეთი დამშვენებულ გვარამიას ან მის მიერ გამოჩეკილ „ვარსკვლავს“ — ჩლიფინა ჯულიეტოვნას, მაგრამ იმედია, შენი მჩქეფარე ტემპერამენტი არ ჩაცხრება და კიდევ ბევრჯერ გაახარებთ თქვენს ჭკუაზე მყოფ მაყურებელს. შემდგომ კი კარგი იქნება, თუ ინგუშკი გრიგოლიას მჭექარე-მონატრებულ ხმასაც გაგვაგონებთ. ამით თქვენ გვირგვინს დაადგამთ თქვენს წამებულ ნაციონალურ მოძრაობას. მაშ წინ, მხოლოდ წინ ჩემო კარგო და არც ერთი ნაბიჯი უკან ფაშისტი ბატონებისგან.

ისე უკვდავ „დათა თუთაშხიადან“ შევახსენებ ნაცმოძრაობის ყველა აქტივისტს: „ვინ ხართ, ხალხო, თქვენ, რა დაგმართათ ასეთი, უსინდისო და ნამუსგარეცხილმა არქიფო სეთურმა?“ (ვინც არის არქიფო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ).

მოქალაქე
გურამ მგელაძე

„ჯონ მაკკეინი: თუ ივანიშვილი არ დაგვიჯერებს, მის ანგარიშებს დავბლოკავთ“...

ამ სათაურით იწყება „wikileaks.center“-ის მორიგი „კომპრომატი“

უკრაინული „wikileaks“ ახალ სკანდალურ ჩანაწერს აქვეყნებს. საიტის ცნობით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი სენატორ ჯონ მაკკეინს ესაუბრება და ამისთვის (viber)-ის რუსულენოვან ვერსიას იყენებს.

ჯონ მაკკეინი: გამარჯობა, ბევრჯერ დაგირეკავს, ვერ გიპასუხე. მაგრამ გეტყვი რომ, სერიოზული შეცდომები დაუშვი, არააკურატულად მუშაობ. მე გაგაფრთხილე, რომ ტელევიზიასთან მიმართებაში სისხლიანი სცენარი გამორიცხულია. რა რევოლუციას იწყებდი, ბიჭო?

მიხეილ სააკაშვილი: ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ რჩებოდა. „რუსთავი-2“ რომ დავკარგოთ, საქართველოზე გავლენის ბერკეტი დაიკარგება.

ჯონ მაკკეინი: მე ზომები მივიღე. შენ ბიჭებს ხელს არ ახლებენ, გამოძიება დაიხურება. ეშტონმა ყველა გააფრთხილა. ელჩი აქტიურად მუშაობს. ივანიშვილი დაპატიმრების საკითხს არ დააყენებს, თუ არადა ყველა მის ანგარიშს დავბლოკავთ. მაგრამ შენზე ყველა აღრენილია. 10 ნოემბრის შემდეგ სენატორთა ჯგუფთან ერთად ვაპირებთ საქართველოში ჩასვლას.

მიხეილ სააკაშვილი: დიდი მადლობა, ბატონ krt-ს დაველაპარაკები, სენატორების ჩამოსვლა იქნებ დააჩქაროთ, თორემ სასამართლომ შეიძლება გადაწყვეტილება მიიღოს.

ჯონ მაკკეინი: სასამართლო პროცესი უნდა გაწელოთ, შენი ბიჭები საქმეში ჩაერთნენ და მათ ძალიან აქებენ, ინფორმაცია კი გაიპარა, მაგრამ ყველაფერი ძალაში რჩება. ავაკოვმა ყველაფერი გამოაგზავნა. ყველაფერს კამერაზე დააფიქსირებენ, როგორც კი სათანადო ფონი შეიქმნება, საკითხის გადაწყვეტა განახლდება და გემები წამოვა. potus-ი (აშშ-ის პრეზიდენტი) ამოქმედდა. ჩვენი სპეცრაზმი უკვე ქურთისტანშია. მოამზადე მეორე ჯგუფი.

მიხეილ სააკაშვილი: ეს კარგი ამბავია, ბიჭებმა ფიცი დადეს და ყველაფერს გააკეთებენ. შემიძლია გავაგზავნო კარგად მომზადებული პროფესიონალი 20 კაცი. ერთ კვირაში „ილიჩოვსკი“ შეძლებს მიიღოს ყველა ტიპის გემი.

ჯონ მაკკეინი: Pyatt-ისგან დაგირეკავენ და ბიჭებს წაიყვანენ, მხარდაჭერა უზრუნველყავი. საქართველოს მერე შეიძლება კიევში ჩამოვიდე.

მიხეილ სააკაშვილი: ყველაფერს გავაკეთებთ. ასე რომ გელოდებით“, — ეს არის დიალოგი, რომელიც უკრაინულმა საიტმა გამოაქვეყნა.

უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ რამდენიმე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას საუბარიც გამოაქვეყნა. საიტის მტკიცებით ისინი თურქეთის აეროპორტში საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლაზე საუბრობდნენ. აეროპორტში შეხვედრის ფაქტი გიგა ბოკრიას მეუღლემ თამარ ჩერგოლეიშვილმა დაადასტურა, თუმცა საუბრის შინაარსი უარყო. მასალის მედიით გავრცელების შემდეგ, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა სახელმწიფო შეთქმულების მოწყობის მუხლით გამოძიება დაიწყო.

უკრაინულმა საიტმა გავრცელებულ საუბრებთან დაკავშირებით ოფიციალური განმარტებაც გააკეთა, „ჩვენ გვაქვს მხოლოდ ნამდვილი მასალები და როგორც კი შესაძლებელი იქნება ლაზერული და რადიოტალღების ბგერით სიგნალად გარდაქმნა, აუდიოვერსიები მაშინვე განთავსდება ჩვენს საიტზე.

„ვიკილიქს ცენტრი“ ამ დიალოგის ამსახველ ფოტომასალასაც აქვეყნებს.

◎ ეხმაურებიან

ალექსანდრა ჰოლ ჰოლი: „ძალადობისა და რევოლუციის დრო ახლა არ არის“

ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა საქართველოში ბრიტანეთის ელჩმა ალექსანდრა ჰოლ ჰოლიმ, რომლის განცხადებით ძალადობის სტიმულირებას, წაქეზებას არაფერი ამართლებს. როგორც ბრიტანელმა დიპლომატმა ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, ძალადობისა და რევოლუციის დრო ახლა არ არის.

„გვესმის, რომ მედიის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომლის მხრივაც საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა და მესმის, რატომ არის ასეთი მაღალი ინტერესი „რუსთავი-2“-ის საქმის მიმართ, თუმცა ძალადობის სტიმულირებას, წაქეზებას არაფერი ამართლებს.

როდესაც ჩანაწერების შესახებ გავიგე, ერთი მხრივ, შევწუხდი, რომ ადამიანების პირადი საუბრები საჯარო გახდა, მეორე მხრივ კი, მათი შინაარსი სამწუხაროა, რადგან დემოკრატიის მხრივ საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა და ახლა არ არის დრო ძალადობისთვის, რევოლუციისთვის. პროგრესისკენ მიმავალი გზა ისაა, რომელზეც საქართველო უკვე დგას და დემოკრატიას აშენებს“, — აღნიშნა ალექსანდრა ჰოლ ჰოლიმ.

* * *

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე თვლის, რომ ჩვენი პრემიერის წერილი უკრაინის პრეზიდენტისადმი კარგია, მაგრამ საჭიროა აქტიური ურთიერთობები ერთმანეთთან. ფანჯიკიძის განცხადებით, თუ არ იქნება ქვეყნებს შორის აქტიური ურთიერთობები, სიტუაცია მათ შორის დაიძაბება.

* * *

ქართველი ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები თვლიან, რომ პოროშენკომ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს საკაშვილის პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, რადგან ის დესტრუქციული პროცესების შექმნის დიდი ოსტატია და შეიძლება, როგორც ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში, ასევე უკრაინაში საკმაოდ მძიმე და რთული ვითარება შექმნას.

* * *

უკრაინის ხელისუფლებისგან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმის მოლოდინი არ აქვს პოლიტიკურ კონსულტანტს ვალერიან გორგილაძეს, რომლის განცხადებით, ასეთი მკაცრი ტონალობის წერილი გარკვეულ უხერხულობას უქმნის უკრაინის ხელისუფლებას, რომლის გუბერნატორი უხეშად ერევა საქართველოს შიდა საქმეებში.

„არ მგონია, რომ ეს ჩანაწერები და პრემიერის წერილი საკადრო ცვლილების საფუძველი გახდეს. ალბათ, პოროშენკო მის მეგობარ სააკაშვილს მეგობრულ რჩევებს მისცემს, რომ მისი ქმედება პრობლემას უქმნის უკრაინის ხელისუფლებას. ამით შემოიფარგლება პოროშენკო, მაგრამ სააკაშვილს შეეზღუდება პოლიტიკური მანევრირება, მნიშვნელოვნად შეფერხდება მისი კარიერული სვლა უკრაინაში და მთლიანად დამოკიდებული გახდება პეტრო პოროშენკოზე. არანაირ ექსტრადიციაზე საუბარი აღარ იქნება, მითუმეტეს თუ ჩამოერთმევა საქართველოს მოქალაქეობა“, — აცხადებს ვალერიან გორგილაძე.

თამთა ქარჩავა

„დოკუმენტის ასლებს, რომლითაც დასტურდება, რომ სააკაშვილი სუკ-ის თანამშრომელი იყო, იგორ გიორგაძე ინახავს“

უკრაინულმა ვებპორტალმა „uarevo.in.ua“-მა ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილისა და „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მორიგი სატელეფონო ჩანაწერი გაავრცელა. ჩანაწერის მიხედვით, სააკაშვილი ნიკა გვარამიას ეუბნება, რომ ჟურნალისტთა კოლექტივთან „წაიმუშავოს“. ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი დავით კეზერაშვილს ახსენებს. რაც შეეხება ნიკა გვარამიას, ის თემურ ჯანაშიას ახსენებს და აცხადებს, რომ დაცვის ორგანიზებას მას დაავალებენ, მიხეილ სააკაშვილი კი ყოფილი სპეცრაზმელების საჭიროებაზე საუბრობს.

ნიკა გვარამია: ეს სპეცრაზმელები საიდან მოვიყვანო, ნაცებს ვთხოვო, რომ დამაკავშირონ?

მიხეილ სააკაშვილი: გივი იცნობს ყველას...

გუშინვე უკრაინული ვებპორტალმა კიდევ ერთი სატელეფონო საუბარი გამოაქვეყნა. ამჯერად ქვეყნის მომავალზე სააკაშვილი მომღერალ სოფო ნიჟარაძეს ესაუბრება. აუდიოჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი სოფო ნიჟარაძეს ეუბნება, რომ საქართველოში სისხლისღვრა იქნება. ექს-პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ საველე მეთაური „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი ნოდარ მელაძე გახდება, რომელსაც სოფო ნიჟარაძე საკმაოდ უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს.

ნიკა გვარამია დღეს გამოქვეყნებული ჩანაწერების ავთენტურობას არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ეს ჩანაწერები არ არის უწყვეტი და არის დამონტაჟებული.

„მიყოლებით ასეთი შინაარსი არ მახსოვს, არ მახსენდება და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩანაწერი არ არის უწყვეტი, არის დამონტაჟებული. რაც შეეხება ჩემ საუბარს, რა თქმა უნდა, მე მქონდა საუბარი მიხეილ სააკაშვილთანაც და არა მხოლოდ მასთან იმასთან დაკავშირებით, რომ მჭირდება კომპეტენტური ადამიანების აყვანა დაცვაში, ვინც საჭიროების შემთხვევაში, კომპანიას დაიცავს არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების შემოტევებისგან, არამედ ე.წ. ტიტუშკების შემოტევებისგანაც, რაც ზუსტად ვიცოდით, რომ იგეგმებოდა“, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

გვარამია ამბობს, რომ ტელეკომპანიას მართლაც ჭირდება დაცვის გაძლიერება, მან ამაზე რჩევა სააკაშვილსაც კითხა, თუმცა არა იმ შინაარსით, როგორც გამოქვეყნდა.

„ჩვენ არ გვყოფნის დაცვის ის რაოდენობა, რომელიც გვყავს. ის, რომ მე მიხეილ სააკაშვილს, რა თქმა უნდა, შეიძლება ვთხოვო, რომ მირჩიოს ვინ შეიძლება დაცვაში იყოს, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, რადგან როგორც ჩანაწერში ვამბობ, მე არ მაქვს შესაბამისი ექსპერტიზა.

საუბრები ამასთან დაკავშირებით ყოფილა, მაგრამ არა გამოქვეყნებული შინაარსით. ამ საუბრის აუთენტიკურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მეორე ჩანაწერზე, რა თქმა უნდა, კომენტარს ვერ გავაკეთებ გარდა ერთისა, რომ ეს არის სრულიად სამარცხვინო, რასაც აკეთებს საქართველოს უშიშროება, ასევე სრულიად სამარცხვინოა, ვინც ამას ახმოვანებს და ეთერში დებს. ეს ეხება პირველ რიგში ადამიანის პირად ცხოვრებას“, — აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

უკრაინული „uarevo.in.ua“-ის მიერ გამოქვეყნებულ სატელეფონო საუბრებს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე გამოეხმაურა, რომლის განცხადებით, დღეს საქართველოში ვერავინ გაბედავს გადატრიალებას.

„მე ვფიქრობ, შეფასება არ არის საჭირო. ყველაფერი არის ნათელი, ყველამ ყველაფერი ვიცით, თუ რას გეგმავდა ეს ადამიანი. შესაბამის სამსახურებს ამ მიმართულებით დაწყებული აქვთ გამოძიება და დაველოდოთ, ძალიან საინტერესო იქნება. თუმცა მინდა, ქვეყნის მოსახლეობა დავამშვიდო - ხელისუფლება აბსოლუტურად ფლობს სიტუაციას და დღეს საქართველოში ვერავინ გაბედავს ვერც გადატრიალებას, ვერც რევოლუციის მოწყობას. მაგ ადამიანებს შეუძლიათ, ჩაიკეტონ თავიანთ ოთახებში და იკოტრიალონ რამდენიც უნდათ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

უკრაინულმა ვებ-გვერდმა „Wiki Leaks“-მა გავრცელებულ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვით, მხოლოდ ნამდვილი მასალები აქვს და როგორც კი შესაძლებელი იქნება ლაზერული და რადიოტალღების ბგერით სიგნალად გარდაქმნა, აუდიოვერსიები მაშინვე განთავსდება საიტზე. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, უკრაინული „Wiki Leaks“ შექმნილია თანამოაზრეთა ჯგუფის მიერ, რომელიც უპირისპირდება რუსეთისა და აშშ-ის აგრესიას, რომლებიც უკრაინას გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში ხურდა ფულად იყენებენ.

„აშშ-ის მიერ ნაყიდმა უკრაინელმა პოლიტიკოსებმა რუსეთს შესაძლებლობა მისცეს ყირიმი წაეღო, ხოლო დონბასში უაზრო, ძმათამკვლელი ომი ეწარმოებინა. უკრაინა ეკონომიკური სიდუხჭირისა და სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა. ასეთ ვითარებაში დიდ როლს თამაშობს ჩვენთან შემოგზავნილი საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც 1989 წელს მსახურობდა რა სასაზღვრო ჯარებში, თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირის სუკ-თან.

1990 წელს სწავლობდა კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში, გახდა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი. მისმა ბიძამ სუკის პოლკოვნიკმა თემურ ალასანიამ 1993 წელს თავისი დისშვილის საარქივო დოკუმენტები გაანადგურა, ხოლო ასლი ინახება საქართველოს ყოფილ სახელმწიფო უშიშროების მინისტრთან, რომელიც გასაგები მიზეზების გამო მას არ ამზეურებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

ამავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1994 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლისას სააკაშვილი ამერიკულმა სპეცსამსახურებმა გადაიბირეს. გააჩნდა რა ორმაგი აგენტობის გამოცდილება, სააკაშვილმა უკრაინაში მოქმედების კარტბლანში მიიღო.

„ჩვენ გვაქვს უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ მის ამოცანაში შედის უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების განახლება, სირიაში რუსეთისა და აშშ-ის ერთმანეთისთვის შეჯახების მიღწევა და ამგვარად აშშ-სგან სამხედრო დახმარების მიღება და დაპირისპირების ფრონტის გაფართოება.

მას სურს ბლოკადაში მოაქციოს დნესტრისპირეთი და შექმნას რუსეთის სამხრეთ უკრაინაში შეჭრის საფუძველი, აღადგინოს ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის საოჯახო ბიზნესი, მიისაკუთროს უკრაინის სტრატეგიული ობიექტები, ნავსადგურები, ბუნებრივი რესურსები, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა და სხვა.

ყველაფერი კეთდება ქართული სცენარით. ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი ქვეყანა განადგურების პირას დადგეს და უკრაინელმა ხალხმა გამოსცადოს ის წამება, გაუპატიურება და გადაგვარება, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი საქართველოში ამყარებდა“, — ნათქვამია უკრაინული „Wiki Leaks“-ის განცხადებაში.

ის, რომ მიხეილ სააკაშვილი უშიშროების ძალებში მსახურობდა და მისი ბიძა თემურ ალასანიაც ოდიოზური წარსულის ადამიანია, ამის შესახებ საქართველოში წლებია საუბრობენ, განსხვავებით თავად სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობისგან.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ვარაუდობს, რომ საარქივო დოკუმენტის ასლებს, რომლითაც დასტურდება, რომ სააკაშვილი სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი იყო, უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე ინახავს.

„სააკაშვილი აღმოჩნდა სექსუალურ სკანდალში, ამიტომ გარიცხეს უნივერსიტეტიდან. იმისათვის, რომ აღდგენილიყო უნივერსიტეტში, მოუწია წასვლა ჯარში, რათა მიეღო კარგი დახასიათება და ამის საფუძველზე აღდგენილიყო სასწავლებელში. ამიტომ, ბიძამისმა მოაწყო სუკ-ის სასაზღვრო ჯარებში. ამის შემდეგ სააკაშილი აღადგინეს უნივერსიტეტში.

რაც შეეხება ამ ჩანაწერებს, ამით დასტურდება მიხეილ სააკაშვილის კავშირი კავკასიის ისლამურ საამიროსთან და მის ხელმძღვანელობასთან. ასე რომ, გასაგებია ვინ გასცა ლაფანყურის ოპერაციის ბრძანება. ახლა სააკაშვილი ცდილობს ვითარება დაძაბოს უკრაინაში, რომ ჩართოს ახალ სამხედრო კონფრონტაციაში“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, გამოქვეყნებული აუდიჩანაწერების შემდეგ სააკაშვილს შეიძლება ბრალდებულის სტატუსი მიენიჭოს.

„მითუმეტეს მას შემდეგ, რაც სოფო ნიჟარაძეს ესაუბრება, რომ სისხლი უსათუოდ დაიღვრება საქართველოში. ის ეჭვი, რომ სააკაშვილი არა მხოლოდ საქართველოს ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, არაერთხელ გაჟღერებულა მისი პრეზიდენტობის პერიოდში.

„სააკაშვილზე სანდო ინფორმაციის გავრცელება შეუძლიათ იმ ადამიანებს, რომლებიც ოფიციალურად მსახურობდნენ საბჭოთა უშიშროებაში. მათ ექნებათ შესაძლებლობა, უფრო სრული ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას ამ თემასთან დაკავშირებით“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

თამთა ქარჩავა

ნაცებო, ვერ ხვდებით, მიშამ რა რიგრიგობით ჩაგიშვათ?!

უკრაინული ვებგვერდი uarevo.in.ua ამჯერად, სავარაუდოდ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილისა და დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის საუბრის ჩანაწერს აქვეყნებს.

ვებგვერდზე სამი აუდიოჩანაწერი გამოქვეყნდა, სადაც საუბარია პერმანენტული აქციების დაწყებაზე მას შემდეგ, რაც მოსამართლე „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით გადაწყვეტილებას გამოაცხადებს. ერთ-ერთ მათგანში ნუგზარ წიკლაური ამბობს, რომ კარგი განწყობაა, არასამთავრობები გამოდიან, ხალხის ნაწილი სასამართლოსთან მიდის, ხოლო 3 000 კაცამდე „რუსთავი-2“-თან მივა.

„კარვები და რაღაცები გვაქვს, ყველაფერი და ხვალ უკვე დაიწყებენ დამონტაჟებას. მე რასაც მეუბნებიან, აქვთ მათ ეგეთი სცენარი, რომ ჩვენი ხალხი რომ იქნება იქ, თვითონაც მობილიზაცია გაუკეთონ 600 კაცს, იქ მოხდეს ქლეში და პოლიცია და ა.შ. ჩვენ ვიღაც-ვიღაცები ჩამოგვყავს, ცოტა ისეთი ხალხი, ადრე სპეცრაზმელები და რაღაცა სამეგრელოდან. მე მგონია, რომ რაღაც ამყრალდა და ვნახოთ, რა იქნება“, — აცხადებს წიკლაური.

მეორე ჩანაწერში, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე მიხეილ სააკაშვილსა და ნუგზარ წიკლაურს შორის გაიმართა, შემდეგ კი წიკლაურმა, სავარაუდოდ, ტელეფონი გივი თარგამაძეს გადააწოდა, ექსპრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საჭიროა მაქსიმალური მობილიზაცია ქვეყნის მასშტაბით და კიდევ უფრო დიდი მიტინგი და კონცერტი გაიმართოს.

„ჩვენ ასე ვფიქრობთ, თუ ეგრე თქვა ამან, რომ მერე როდესღაც გამოვაცხადებო, თუ აუცილებლობაა, აქ დავტოვებთ 70-დან 100 კაცამდე, რომ კარვებში ვიღაცები იყვნენ, მერე დავიწყებთ რაიონებში იმას და გამოცხადების წინა დღეს ხომ გაგვაგებინებენ, ჩუმად ვერ გამოაცხადებს. იმის მეორე დღიდან, როცა ეს იტყვის, რომ უნდა გამოვაცხადო განაჩენიო, იქიდან იწყება რეალურად პერმანენტული აქციები, იმიტომ, რომ იმის მერე ვეღარ ვსაზღვრავთ, ჩვენ აღსრულებას როდის იტყვის. შეიძლება, აღსრულება არ თქვას და ჩუმად გადასცეს. ეს, სავარაუდოდ, ერთი კვირის განმავლობაში მოხდება და მაგ დროისთვის გვჭირდება დიდი მობილიზაცია“, — ამბობს ნუგზარ წიკლაური, რის შემდეგაც საუბარი მიხეილ სააკაშვილსა და გივი თარგამაძეს შორის გრძელდება. ექსპრეზიდენტი ინტერესდება, ვისი მობილიზება მოახდინა თარგამაძემ.

„მოკლედ არის რა, საკმარისი რაოდენობით მომყავს. ზოგი ისეთია, გაგდებულები, ზოგი ჩვენია, ზოგი ის არის, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, პირველ ნაწილს გავუძლოთ, მაგრამ პირველსაც გავუძლებთ, მეორესაც და მე მგონი მესამესაც“, — აცხადებს გივი თარგამაძე.

ᲐᲓᲠᲔ ᲗᲣ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲡ!

ᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ **ᲜᲣᲙᲠᲘ ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ**

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲜᲣᲙᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲑᲗ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲘᲥ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲩᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ. ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ?

— საგარეჯოში საკმაოდ მწვავე ბრძოლა წარიმართა... ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კანონი თამარ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘᲡ არ დაურღვევია. თუმცა, კარგი შთაბეჭდილება ჩემზე არ დატოვა, როცა ვნახე, თინათინ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ შტაბში ᲮᲛᲔᲑᲘᲡ როგორ ითვლიდა, მაგრამ კანონი არც მას დაურღვევია. თუკი რაიმე ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲘ აღმოაჩნდება ამ საარჩევნო პროცესს, ამაზე რეაგირება უნდა მოხდეს. მომხრე ვარ, ყოველთვის სამართლიანი არჩევნებით გადაწყდეს ნებისმიერი კანდიდატის ბედი.

— სახელისუფლებო კანდიდატს ძალიან გაუჭირდა გამარჯვება იმის მიუხედავად, რომ მობილიზებული იყო ადმინისტრაციული რესურსი. როგორ ფიქრობთ, პრობლემა ᲮᲝᲛ არ იქნება მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება?

— არა მგონია, გამარჯვება გაუჭირდეს, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებასთან მეტი მუშაობა გვმართებს. დასკვნები გამოსატანია. ამომრჩეველთან კომუნიკაცია აუცილებელია, იმის ახსნა, თუ რა გაკეთდა, რა ვერ გაკეთდა, მით უფრო იმ პირობებში, როცა ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ თავისი ტელევიზია არა აქვს. „პატრიოტთა ალიანსისთვის“ ეს იყო ერთგვარი გამოცდა, რომელიც წარმატებით ჩააბარა...

— მაგრამ მოსახლეობის აქტიურობა იყო დაბალი, ამაზე რას ფიქრობთ?

— თუ თქვენ გაიხსენებთ, რომ სადმე, ოდესმე შუალედურ არჩევნებზე მეტი აქტიურობა ყოფილა, დაგეთანხმებით. ჩემი აზრით კი, შუალედური არჩევნები ზოგადად აქტიურობით არ გამოირჩევა. ᲮᲛᲐᲣᲠᲘ გამოიწვია იმან, რომ კოალიციის კანდიდატს ნაკლები ცნობადობა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ვიდრე ინაშვილს. ამის მიუხედავად, კოალიციურმა რესურსმა განაპირობა ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘᲡ გამარჯვება.

— როგორც თქვენ ამბობთ, ის არ იყო ცნობილი სახე, არ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ დამსახურება... ამის მიუხედავად, კოალიციაში ზოგადად „რესპუბლიკელებს“ ყველაზე მეტი კვოტა აქვთ თანამდებობრივად. რატომ ᲮᲓᲔᲑᲐ ასე და ვინ წყვეტს ასეთ საკითხებს?

— ეს წყდება კოალიციის საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით. დაგეთანხმებით, რომ „რესპუბლიკელების“ მიმართ საზოგადოება ნაკლებად კეთილგანწყობილია, რადგან ის არ არის ᲮᲐᲚᲮᲝᲡᲜᲣᲠᲘ პარტია და არც არასოდეს ყოფილა. იგი შედგებოდა ვიწრო ჯგუფის პროფესიონალებისგან, იურისტებისგან, რომელთაც შეუძლიათ კარგი მუშაობა, საკმაოდ შრომისუნარიანები არიან. მათი ენა, მათი მიმართულებები საზოგადოებამდე ვერ აღწევს ᲮᲝᲚᲛᲔ. ამ თვალსაზრისით არის გაუცᲮᲝᲔᲑᲐ, თორემ უნდა გითᲮᲠᲐᲗ, რომ საკმად ენერგიულები და პროფესიონალები არიან. ამ მᲮᲠᲘᲕ მათ ბევრი ვერც შეედრება. ამიტომ საარჩევნოდ ყველა პარტიას სჭირდება მათთან ურთიერთობა, რადგან ამ მᲮᲠᲘᲕ უპირატესობაში არიან.

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲜᲣᲙᲠᲘ, თქვენ არაერთხელ გააკეთეთ კომენტარი „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, მაგრამ უკრაინული საიტების მიერ გამოქვეყნებულმა ჩანაწერებმა, რომელიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვას უკავშირდება, ცᲮᲐᲓᲧᲝ, რომ რაღაც უფრო რთულად არის საქმე, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

— „რუსთავი-2“-ის საქმე არის დავა მეპატრონეებს შორის და კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ უნდა ვაცალოთ სასამართლოს განაჩენის გამოტანა. მეორე მᲮᲠᲘᲕ, ნაციონალებისთვის ეს არის ერთადერთი ჟანგბადი, რომელსაც ებღაუჭებიან. ეს ყველაფერი დღეს უკვე მკვეთრად ამოტივტივდა და ნათელია, რა ზრახვები აქვთ მათ, რა გეგმები, როგორ შეუძლიათ ᲮᲐᲚᲮᲘ გაწირონ, თავისიანებიც კი, ოღონდ კი ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ მოვიდნენ და დარჩნენ!!!

— როგორ უნდა მოიქცეს ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, როცა სხვა ქვეყნის გუბერნატორი ერევა შიდა საქმეებში, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?..

— დიახ, ამაზე იყო მსჯელობა პარლამენტში, განცᲮᲐᲓᲔᲑᲐ გააკეთა პრემიერმა, პრეზიდენტმა... მაგრამ ჩემი მოლოდინი არის კონკრეტული. ვერავითარ გადატრიალებას, ვერავითარ არეულობას ესენი ვერ მოახდენენ! არანაირი სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები არ არის, მᲮᲝᲚᲝᲓ ჩანს სააკაშვილის მანიაკალური ზრახვები, მისწრაფებები, რომ საქართველოში არეულობა შექმნას. ჩანაწერებიდანაც ჩანს, რომ არც აქ მყოფების დიდი სურვილი არ არის ეს, რადგან კარგად ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ, რომ ამის განᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ გაუჭირდებათ. იციან, რომ ამის საშუალება აქ არ არის, მაგრამ დამონებული დამონებულია. კიდევ ფიქრობენ, რომ, იქნებ, რაღაცას გამორჩენენ!!! აშკარაა, რომ გვარამია სააკაშვილის ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲘᲐ, მაგრამ ისიც გამოჩნდა, როგორ ნაძალადევად ეთანᲮᲛᲔᲑᲐ ამ „სისᲮᲚᲘᲐᲜ“ გეგმებს. დამერწმუნეთ, ეს არის მათი ბოლო მცდელობა, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ჩაᲑᲦᲐᲣᲭᲔᲑᲐ, რადგან ლეგიტიმური გზით ნაციონალების ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ დაბრუნების შანსი არ არის! სამართალდამცავები აბსოლუტურად ფᲮᲘᲖᲚᲐᲓ არიან, როგორც იცით, საქმე აღძრულია 315-ე მუხლით, რაც გულისᲮᲛᲝᲑს შეთქმულების გზით ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ჩამოგდებას... ასე რომ, საზოგადოებას შეუძლია, მშვიდად იყოს. არავითარი გადატრიალება: ჩვენ მოვედით არჩევნების გზით და წავალთ არჩევნების გზით, თუ წასასვლელები ვიქნებით, ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობების, სისᲮᲚᲘᲡᲦᲕᲠᲘᲡ, ᲩᲮᲐᲕᲘᲚᲘᲡ და ჯᲮᲝᲮᲔᲑᲘᲡ გარეშე. რაც ახლა ᲮᲓᲔᲑᲐ, ეს არის ნაციონალური ავადმყოფობის ბოლო ბაცილები, რომელსაც ამოკვეთა სჭირდება და რომელიც, ვფიქრობ, რომ მალე დამთავრდება. ჩემი აზრით, პროკურატურას აქვს სხვა ინფორმაციები, გარდა გამოქვეყნებული ჩანაწერებისა და ნებისმიერ ასეთ მცდელობას აღკვეთენ. მე შემთხვევით არ მითქვამს ჩემს გამოსვლაში, რომ გადატრიალების სცენარებს დიდი ᲮᲐᲜᲘᲐ, ვᲮᲔᲓᲐᲕᲗ. კანონის ზღვარზე ყველას შეუძლია იმოქმედოს, მაგრამ როგორც კი კანონს გადასცდება, მატროსოვზე აღმოჩნდება და საკმაოდ დიდი ᲮᲜᲘᲗ.

— თქვენი შეფასებები ოპტიმისტურია, მაგრამ ჩვენ გვახსოვს „ქართული ოცნების“ დაპირება, სანამ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ მოვიდოდა, რომ სააკაშვილი ყველა ჩადენილ დანაშაულზე პასუხს აგებდა... არადა, მოქალაქეობის ჩამორთმევის პროცედურა ახლახან დაიწყო, ეს მართებულია?

— რატომ არ აგო პასუხი სააკაშვილმა ან იმ პირებმა, რომლებიც გაქცეულები არიან? მე ასე გეტყვით: რატომ აგებინეს 50 წლის შემდეგ პასუხი იმ ნაცისტებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში იყვნენ გაქცეულები?! ესენიც ახლა გაქცეულები არიან, თანაც მეგობარ ქვეყანაში, სადაც თანამდებობაზე ინიშნებიან, რაც ერთგვარი ნონსენსია და უᲮᲔᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐს ქმნის. ამას ვერ გადავაყოლებთ ორი ქვეყნის ურთიერთობას და ამავე დროს გვაქვს დილემა, რომ დამნაშავე სააკაშვილი მაღალი თანამდებობის პირია. ეს დამნაშავე ახლა აქ თავის სექტას ჭკუას არიგებს, თუ როგორ დაღვარონ სისᲮᲚი. ადრე თუ გვიან, სააკაშვილი მაინც აგებს პასუᲮს. მის დანაშაულებს ვადა არა აქვს. მაგრამ ვიდრე ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგება, ჩემი აზრით, მას ჯერ უკრაინის სახელმწიფო გაასამართლებს.

— რას იტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ერევა თუ არა ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში და იღებს თუ არა მითითებებს მთავრობა დასავლეთიდან?.. თუნდაც გუშინწინ გამოქვეყნებული მიმოწერა სააკაშვილსა და მაკკეინს შორის, საიდანაც იკითᲮᲔᲑᲐ, რომ ამერიკული მᲮᲐᲠᲘᲡ ჩარევით გაიწელება სასამართლო პროცესი „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით. ამერიკის ელჩი იან კელიც იმაზე აპელირებს, რამდენად სამართლიანად არის მოპოვებული ჩანაწერები და არაფერს ამბობს მის შინაარსზე?

— ყველა ჩაერევა იმ დოზით, რისი უფლებებიც მიეცემა. კონკრეტულ შემთხვევაში ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ინფორმაცია არ მაქვს. ისე კი, ჩვენი მეგობრებიდან ნებისმიერი რეკომენდაცია უნდა მივიღოთ. მოვისმინოთ, მაგრამ ავიღოთ ის, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უკეთესი იქნება. ამერიკამ საკმაოდ დიდი მᲮᲐრდაჭერა აღმოგვიჩინა, ამისთვის მადლობლები ვართ, მაგრამ არსებობს ზღვარი, როდესაც უნდა გადაწყვიტო, რა უფრო სჭირდება შენს ქვეყანას. რაც მთავარია, ჩვენ, სააკაშვილისგან განსᲮᲕᲐᲕᲔᲑით, ისინი იდიოტებად არ მიგვაჩნია.

— და ბოლო კითᲮᲕა. ალბათ, მოისმინეთ ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლა, როცა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა არცთუ სახარᲑᲘᲔᲚᲝᲓ შეაფასა. აღნიშნა, რომ მომავალ საარჩევნო სიაში დეპუტატთა ნახევარიც ვერ მოᲮᲕᲓᲔᲑᲐ. რომ პარლამენტში საკმაოდ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, უჭირთ კანონშემოქმედებითი პროცესი, არ იციან უცᲮᲝ ენა. თქვენ რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს პარლამენტში?

— საერთოდ, ყველაფერს განახლება და განვითარება სჭირდება, მათ შორის პარლამენტსაც. განვითარება არ ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანო დაკომპლექტდეს ერთნიშნა ᲮᲐᲚᲮᲘთ, ერთი პროფესიის ადამიანებით. საკანონმდებლო ორგანოში სულ რომ იურისტები იყვნენ, პარლამენტი იურიდიული კანტორა გაᲮᲓᲔᲑᲐ, ასე რომ, ყველა პროფესიისა და დარგის პროფესიონალებმა უნდა მოიყარონ თავი. მაგრამ მᲮᲝᲚᲝᲓ პროფესიონალებიც არ კმარა, თუ ᲮᲐᲚᲮᲘსგან წარმოდგენილი ადამიანები არ იქნებიან. უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანო და ასევე წარმომადგენლობითი ორგანო. ჩემი აზრით, ამ ორის სინთეზით უნდა მოᲮᲓᲔᲡ მომავალი კანდიდატების შერჩევა...

ესაუბრა
ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲝᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲔᲠᲗ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ მᲮᲐᲠᲔ უკრაინის ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ყოფილი პრეზიდენტის მიᲮᲔᲘᲚ სააკაშვილის ფარულ ჩანაწერებზე რეაგირებას სთᲮᲝვს. დიპლომატიური ნოტის გაგზავნის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინის პრეზიდენტს, პეტრე პოროშენკოს წერილით მიმართავს და ოდესის გუბერნატორის ანტისახელმწიფოებრივ და ძალადობრივ ქმედებებზე ინფორმაციას აწვდის.

ნაციონალური მოძრაობა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ წერილს „სამარცᲮვინოდ“ აფასებს, ᲮᲝᲚᲝ მმართველი გუნდი უკრაინის ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐს ურჩევს, მიᲮᲔᲘᲚ სააკაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლოს.

საქართველოს ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ მიერ უკრაინაში გაგზავნილ წერილს, უკრაინის მᲮᲠᲘᲓᲐᲜ რა რეაგირება მოᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ამის პროგნოზი რთულია, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილი პოროშენკოს აფრთᲮილებს, რომ მსგავსი ქმედებები ქვეყნების მეგობრულ ურთიერთობებს არ შეეფერება.

პრემიერი წერილში აღნიშნავს, რომ მსგავსმა მოწოდებებმა შესაძლოა, საფრთᲮᲔ საქართველოში უსაფრთᲮᲝᲔᲑᲐსა და სტაბილურობას შეუქმნას.

მთავრობის ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ მსგავსად, ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკურ ზრახვებზე აპელირებს ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, რომელიც for.ge-სთან საუბარში აცᲮᲐᲓᲔᲑს, რომ უცᲮᲝ ქვეყნის პოლიტიკური თანამდებობის პირი სურვილს გამᲮᲐᲢᲐვს — საქართველოში იყოს დაპირისპირება, არეულობა, ემოცია და ᲑᲝᲔᲕᲘკების მიერ განᲮᲝრციელებული ძალადობრივი ქმედებები.

დეპუტატის თქმით, სააკაშვილის პოლიტიკური გეგმები პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობას ᲮᲔᲚს უშლის, რადგან არ შეიძლება, უცᲮᲝ ქვეყნის ტერიტორიაზე, უცᲮᲝ ქვეყნის მოქალაქის მᲮᲠᲘᲓᲐᲜ ასეთი დანაშაულებრივი ქმედებები დაიგეგმოს.

„უკრაინამ საკუთარი პოზიცია უნდა გამᲮᲐᲢᲝს. მათ სუვერენულ ფუნქციებში ვერ შევიჭრებით, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, მათი თანამდებობის პირი რას გეგმავს. ოფიციალური ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ასეთი ტიპის განცᲮᲐᲓᲔᲑებს უნდა გაემიჯნოს, რადგან შესაძლოა, ასეთმა ფაქტებმა ურთიერთობები დააზიანოს“, — აცᲮᲐᲓᲔᲑს კობახიძე.

თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი კი, საკუთარ შეფასებებში უფრო რადიკალურია. for.ge-სთან საუბარში სესიაშვილი აცᲮᲐᲓᲔᲑს, რომ როცა ერთი სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირი მეორე ქვეყნის შიდა საქმეებში ერევა, რევოლუციას ამზადებს და სისᲮᲚᲘᲡᲦᲕᲠᲘᲡთვის ემზადება, ამაზე უკრაინის ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡგან სერიოზული და ადეკვატური რეაგირება უნდა მოᲮᲓᲔᲡ.

„მინიმუმ ველოდები, რომ სააკაშვილს დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლებენ. თუკი მას მათი კანონმდებლობით სისᲮᲚᲘᲡ სამართლის ნიშნები აქვს ჩადენილი, პასუᲮი უნდა აგებინონ და მას ჩვენ ჩვენი კანონმდებლობით მივᲮᲔᲓᲐვთ. თუკი უკრაინის მაღალი თანამდებობის პირი სახელმწიფოს წინააღმდეგ პროვოკაციებს გეგმავს, ამაზე უკრაინის ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡგან პასუᲮს ვითᲮოვთ“, — დასძენს სესიაშვილი.

უმრავლესობის წევრებისგან განსᲮᲕᲐᲕᲔᲑით, უმცირეᲡᲝᲑაში პრემიერის წერილს Ხუმრობად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ პოროშენკო აღნიშნულ წერილზე იცინებს.

როგორც for.ge-ს ნაციონალმა **მᲘᲮᲔᲘᲚ მაჭავარიანმა** განუცᲮᲐᲓა, იმ პრემიერის განცᲮᲐᲓᲔᲑა სამარცᲮვინოა, რომელიც უკრაინაში არ ჩავიდა და ᲮᲐᲚᲮᲘს გვერდით არ დადგა, როცა უკრაინა საქართველოს ერთერთი მთავარი პარტნიორი ქვეყანაა, რომელიც საქართველოს ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐმ ასე მიᲘᲕᲘᲜᲬᲧა.

„ჩანაწერები საიდან არის მოპოვებული, ამაზე აღარ ვისაუბრებ. ალბათ, სააკაშვილის დედასთან და ᲑᲔᲑიასთან გამართულ საუბრებსაც გამოაქვეყნებენ. ის, რომ გვისმენენ, ვიცით, მაგრამ კერძო საუბრების გამოქვეყნების დონეზე თუ დავიდონენ, არ მეგონა“, — დასძენს მაჭავარიანი, რომლის პათოსს იზიარებს ვიცე-სპიკერი გიორგი ᲑᲐრამიძე.

for.ge-სთან საუბარში **ᲑᲐრამიძე** აცᲮᲐᲓᲔᲑს, რომ საᲮᲔზეა ქვეყნის „რეალური მმართველის თანაშემწის“ მᲮᲠᲘᲓᲐᲜ სამარცᲮვინო საქციელი. ᲑᲐრამიძის მოსაზრებით, ღარიბაშვილს ესაუბრებოდნენ.

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ

საკონსტიტუციო სასამართლო ეროვნულ ხიფათს ვერ აცნობიერებს

„ხმამაღალ განაცხადს ვაკეთებ, მაგრამ ჩემი საფუძვლიანი ეჭვია, რომ ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები ნაციონალებს ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოსაწყობად სჭირდებათ“, — აცხადებს For.ge-სთან საუბარში „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე“ თამარ ჩიბურდანიძე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მარიხუანის მოხმარებისთვის მოქალაქეებს აღარ დააპატიმრებენ, ქართული გენოფონდის მტრებად აღიქვამს.

ეს მაშინ, როცა 2050 წლისთვის დემოგრაფიული კატასტროფა გვიახლოვდება, რის შესახებაც გაერომ ჯერ კიდევ 2010 წელს მიგვითითა. შესაბამისად, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა მილიონ 700 ათასი კაცით იკლებს, ანუ ჩვენი მოსახლეობა 28%-ით შემცირდება და საქართველოს სხვადასხვა ეთნიკურ გენოფონდს შორის ეს შემცირებული პროცენტი მთლიანად ქართულ გენოფონდზე მოდის. ექსპერტები ამბობენ, რომ უკვე ძალიან გვიანია, კატასტროფა გარდაუვალია.

თამარ ჩიბურდანიძე: არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველო უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობის პირობებშია, მოახლოებულია დემოგრაფიული კატასტროფა, რომელზეც რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია მიგვითითებს, 2050 წელი ძალიან მალე დადგება საქართველოში და, თუ ძალიან ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკა არ გატარდა, ეს კატასტროფა არ აგვცდება. სამი წელია, ხელისუფლებასთან ერთად სერიოზულად ვმუშაობთ დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაზე და იმ დროს, როცა მწირი ბიუჯეტის ფარგლებში ყველაფერი კეთდება, საკონსტიტუციო სასამართლო ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველ გადაწყვეტილებას იღებს. ეს ნამდვილად არის მტრობა საკუთარი ქვეყნისადმი. ეს ქმედება ამოფარებულია ჰუმანიზმს, ლიბერალიზმს და დემოკრატიულ ღირებულებებს.

— საკონსტიტუციო სასამართლო ვერ აცნობიერებს ეროვნულ ხიფათს?

— როგორ ვერ აცნობიერებს. ძალიან კარგადაც აცნობიერებენ. ჩემი პოზიციაც ასეთია, რომ ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის, თუ ეს არ ნიშნავს გასაღებას, მაგრამ დღეს საქართველოში არსებული უმძიმესი მდგომარეობის გამო, მიუღებელია ამის დაშვება. გამოვაქვეყნეთ ჩვენი ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა ახალგაზრდობის შესახებ, სადაც გამოკითხული 500 სტუდენტიდან 27% ხმამაღლა აცხადებს, რომ მარიხუანის მომხმარებელია და ის პროცენტი, რომელიც ამას ხმამაღლა არ აცხადებს, გაცილებით მეტია, სადღაც 50%-ზე მეტიც შეიძლება იყოს. სხვათა შორის, საუბარია როგორც ვაჟებზე, ისე გოგონებზე. როდესაც ასეთი შედეგი გაქვს ქვეყანაში, ამ კანონის მიღება მტრობაა. მით უმეტეს, მარიხუანას ძირითადად ახალგაზრდები მოიხმარენ, რომელთაც დიდი თავისუფალი დრო აქვთ და ისინი დროს ვერ კლავენ.

— ამით ჰოლანდია-ნიდერლანდებთან საქართველოს გაიგივებას შეეცადნენ?

— ამ ქვეყნებთან გაიგივება არაფრით არ შეიძლება. ჯერ ერთი, ჰოლანდიას ნამდვილად არ აქვს დემოგრაფიული პრობლემები, საქართველო კი უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემის წინაშეა. ის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, ყველასთვის მისაღებია, მაგრამ თუნდაც ის დემოკრატიული ნორმა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის დღეს დამღუპველია, მიუღებელია. მე ვამბობ, კი ბატონო, ეს ჰუმანური აქტია, მაგრამ დღეს საქართველოში ამის განხორციელება არ შეიძლება.

— საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც არ საჩივრდება. რა შეგიძლიათ ამის საპირწონედ მოიმოქმედოთ?

— რა თქმა უნდა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და, ალბათ, აღსრულებაშიც წავა, მაგრამ მე ვთხოვ ხელისუფლებას, ახალგაზრდები მეტად ჩართოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რაც შეიძლება, მეტი თანმხვედრი ინიციატივები წამოვიდეს ხელისუფლებისგან. თორემ იდეოლოგიის დონეზე, მარიხუანა არ მოიხმაროთო, ძალიან ძნელია ახალგაზრდებთან მუშაობა, ამას თითქმის მიუღწეველი შედეგი ექნება. არადა, შედეგი ექნებოდა სწორედ იმ მკაცრ აკრძალვას, რაც არსებობდა საქართველოში.

ამ გადაწყვეტილების მიღებას დღესაც და ოთხი წლის წინაც, როდესაც შემოღებულ იქნა ეს კანონი ნაცმოძრაობის მიერ, ახალგაზრდებზე ზრუნვის საფუძველი არ ჰქონია. ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური ახსნა, რომ ეკონტროლებინათ უბნები. კარგად გახსოვთ, რამდენი პრობაციონერი ჰყავდა მაშინ საქართველოს, არჩევნები მოახლოებული იყო, ამით მართავდნენ და ხმებს იღებდნენ სწორედ ახალგაზრდებისგან. დღესაც მოახლოებულ არჩევნებს უმიზნებენ, ცდილობენ, ახალგაზრდული სეგმენტიდან ხმების მიღებას. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ დღეს უკვე ნაცმოძრაობამ ღიად დააანონსა დესტაბილიზაცია საქართველოში და ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები ბევრად უფრო თამამები და გაბედულები არიან, ვიდრე — ფხიზელ მდგომარეობაში. ასე რომ, საკონსტიტუციო სასამართლომ ნაცმოძრაობის დაკვეთა შეასრულა. ფაქტობრივად, ისინი ერთი პარტიაა. სიმართლე გითხრათ, საკონსტიტუციო სასამართლო ნაცმოძრაობის ერთ-ერთ განყოფილებად მიმაჩნია.

— საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დღემდე დიდ ოდენობად ითვლებოდა 50-დან 500 გრამამდე მარიხუანის გამოყენება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საკონსტიტუციომ რატომ არ ჩათვალა დიდ ოდენობად 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა? ხომ არის არსებითი განსხვავება გამომშრალ და ნედლ მარიხუანას წონას შორის? გამომშრალი მარიხუანისთვის 70 გრამი დიდი ოდენობა არ არის?

— ამ დარგის ყველა ექსპერტი ცალმხრივად ადასტურებს, რომ 70 გრამი მარიხუანა ნამდვილად დიდი რაოდენობაა, ამიტომ საკონსტიტუციოს გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკურია. ეს დიდი რაოდენობაც მიუთითებს იმაზე, რომ ძლიერი ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდები შესაძლოა, მათ ქუჩაში გამოიყვანონ და დესტაბილიზაცია მოახდინონ. ძალიან ხმამაღალ განაცხადს ვაკეთებ, მაგრამ ეს ჩემი საფუძვლიანი ეჭვია, მათი ქმედებიდან გამომდინარე.

— ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, მარიხუანაზე დამოკიდებულება ნიშნავს, რომ მომავალში უფრო ძლიერ ნარკოტიკს მიიღებს ახალგაზრდა.

— დიახ, გამოთქმაც არსებობს — მარიხუანადან ძლიერ ნარკოტიკულ საშუალებამდე ერთი ნაბიჯია. ზოგიერთი ამბობს, რომ ამათ საერთო არ აქვთ, მაგრამ ქართველი და საერთაშორისო ძლიერი ექსპერტები ამბობენ, რომ ძალიან ახლოს არის ეს ორი ნარკოტიკული საშუალება ერთმანეთთან. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საშინელებისთვის გასწირა საქართველოს გენოფონდი. ეს მათგან არ მიკვირს, გიორგი პაპუაშვილი ნაცმოძრაობის წარმომადგენელია, ისინი ცხრა წლის მანძილზე ანგრევდნენ საქართველოს გენოფონდს, არაფერი გაუკეთებიათ ჩვენი გენოფონდის გადასარჩენად. უბრალოდ, გული მტკივა, როგორ არ უნდა გიყვარდეს საკუთარი ხალხი, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. პირდაპირ გეტყვით, დღეს ხელისუფლება ჩიხშია, ის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ შეცვლის, ამიტომ უნდა მოიფიქროს ძლიერი თანმხვედრი ნაბიჯები, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებს გადაარჩენს.

— რას გულისხმობთ? სპორტში ჩართვას?

— ამ სამი წლის მანძილზე ხელისუფლება აწარმოებს ძლიერ ნარკოპოლიტიკას. უნდა გამკაცრდეს ყველა კანონი, ყველა აღსრულება ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ჩვენს ფონდს, მალე დავიწყებთ გრძელვადიან ახალგაზრდულ პროექტს „ჩემი ოჯახი — ჩემი სახელმწიფო“. შევეცდებით, რამდენსაც შევძლებთ, იმდენი ახალგაზრდა გამოვგლიჯოთ ამ საშინელებას.

დიმიტრი ხუნდაძემ, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სახელმწიფო დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციასა და კანონზე დაიწყო მუშაობა. ამ ჯგუფის წევრი მეც გახლავართ და იმედი მაქვს, გაზაფხულისთვის ეს კონცეფცია მზად იქნება. ჩვენ ვცდილობთ, შევამციროთ ტალღის დარტყმის სიმძლავრე, თუმცა იმდენად ძლიერი დემოგრაფიული ტალღა გვირტყამს, რომ დემოგრაფიული კლება მაინც გარდაუვალია. 2025 წლიდან ეს პროცესი თავისთავად იწყება, რადგან ის დემოგრაფიული თაობა მოდის, სადაც უკვე კლება იყო 90-იან წლებში. მართალია, 2013-14 წლებში ძალიან გაგვიხარდა, რომ 3 ათასით გაიზარდა შობადობა, 9 ათასით შემცირდა აბორტი, წელს კიდევ უფრო კარგ შედეგს ველით, რადგან 11 ინიციატივა განხორციელდა ქვეყანაში და 200 მილიონზე მეტია დახარჯული ბიუჯეტიდან, მაგრამ, თუკი ეს შედეგები გაბათილა საკონსტიტუციო სასამართლოს არასახელმწიფოებრივმა გადაწყვეტილებამ და ქმედებამ, კარგი შედეგების მიღწევა გაგვიჭირდება.

მანანა ნოზაძე

◎ ბანკები

მომხმარებლის უფლებების პატივისცემა ვერ ისწავლეს

კომერციული ბანკების მხრიდან მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები საქართველოში არავის უკვირს, მაგრამ პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ ეროვნული ბანკიც კი შეაშფოთა. წლიდან წლამდე ვითარების გაუმჯობესება ვერ ხერხდება.

სებ-ში ადასტურებენ, რომ ბანკების მხრიდან საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის მოთხოვნები მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობს. ასეთია იმ კვლევის შედეგები, რომელიც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ოთარ ნადარაიამ კომერციული ბანკების წარმომადგენლებს საქართველოს ეროვნულ ბანკში გამართულ შეხვედრაზე გააცნო.

უმეტეს შემთხვევაში, კომერციული ბანკები მომხმარებლებს სიტყვიერად არ აცნობენ ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, სავალუტო რისკი და ფინანსური ხარჯები. ასევე მომსახურების გაწევის დროს არ ხდება პრეტენზიის დაფიქსირების შეთავაზება ბანკის მხრიდან. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, მომხმარებელს თავისი ინიციატივით, პრეტენზიის დაფიქსირების კუთხითაც შეექმნა პრობლემა. ასევე ხარვეზებია ხელშეკრულების გადაცემასთან დაკავშირებითაც.

სებ-მა, შესაძლოა, კონკრეტული კომერციული ბანკების მიმართ სანქციებიც გაატაროს. არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელ გიორგი კეპულაძის შეფასებით, კვლევის შედეგები საგანგაშოა. იგი ეთანხმება შედეგებს, რადგან ხშირ შემთხვევაში ბანკები არღვევენ მომხმარებლის უფლებებს და მათ არასათანადოდ ემსახურებიან. კეპულაძის განცხადებით, კომერციულ ბანკებს შენიშვნების გათვალისწინებისთვის 3 თვეს მისცემენ. წინაღმდეგ შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს აქვს ყველა ბერკეტი იმისთვის, რომ დასაჯოს ის ბანკები, სადაც ეს პრობლემაა.

ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა, კონკრეტული ბანკების მიმართ სანქციებიც გაატაროს. შესაძლებელია ეს იყოს ჯარიმა. საჭიროა, კომერციულმა ბანკებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მომხმარებელთა უფლებების დაცვას, უფრო მეტად იზრუნონ საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ.

როგორც ეროვნულ ბანკში აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი კვლევის ჩატარების შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, პრობლემების მოწესრიგება მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს.

გეჟა დანელია

◎ ტურიზმი

„იდუმალი სტუმარი“ აჭარაში

მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონზე, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა აჭარის რეგიონის ტურისტულ ობიექტებში „იდუმალი სტუმრის“ მეთოდის გამოყენებით, მომსახურების კვლევა განახორციელა.

კვლევა ტურისტული სერვისის დარგში ხარისხის დონის დადგენას ითვალისწინებდა, კერძოდ, ტურისტულ სააგენტოებში, განთავსებისა და კვების ობიექტებში.

კვლევა სულ 150 ობიექტზე ჩატარდა, მათ შორის, 15 ტურისტულ სააგენტოს, 60 კვებისა და 75 განთავსების ობიექტში. კვლევის შედეგად სერვისის სფეროში მომსახურების ხარისხის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები გამოიკვეთა.

„იდუმალი სტუმრის“ მეთოდით ჩატარებული კვლევით შესაძლო გახდა დარგში არსებული პრობლემატიკის დადგენა, სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება და ტურისტული სერვისის სფეროს წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი საკონსულტაციო ცენტრისთვის საკითხების განსაზღვრა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

◎ პროფესიონალის ტრიბუნა

პრობლემების მორევში

ტექნიკურმა რეგლამენტმა მეწარმეობა არ უნდა შეაფერხოს!

სულ მალე, ალბათ ახალ წლიდან, უნდა ამოქმედდეს ტექნიკური რეგლამენტი, როგორც ფქვილზე, ასევე პურზე. ევროპასთან ასოციირების ხელმოწერის შემდგომ, გვსურს ევროპულ წესებსა და კანონებთან დაახლოება-სინქრონიზაცია, თუმცა ევროპა ამ რეგულაციამდე კარგა ხანს მიდიოდა და დღესაც ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, მაგალითად უნგრეთი, ნელ-ნელა მიდის ამ წესების დანერგვისკენ. ასევეა პორტუგალია, საბერძნეთი, რადგანაც გარდა სურვილისა მსგავსი რეგულაციები მოიცავს გასატარებელ საწარმოო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებებს.

კადრების მომზადებას, რესურსების არსებობას, ამიტომ ევროპელი ექსპერტები ტექნიკური რეგლამენტების სწრაფად შემოღებას არც გვირჩევენ. რადგანაც ახალი ტექნოლოგიური სტანდარტების დანერგვა, სამეწარმეო გარემოს შექმნა არა სიტყვებით, არამედ საქმით უნდა განხორციელდეს. რა დასამალია და ბოლო ათი წელია მეწარმეებს, რომლებმაც ახალ გამოწვევებს უნდა უპასუხონ პურპროდუქტების სფეროში, მხოლოდ და მხოლოდ პრობლემების მორევში ტრიალებენ, ნედლეულის ფასების მკვეთრი მერყეობა ტექნიკური ბაზის მოშლაა. რთულ სამეწარმეო გარემოს თუ გავაანალიზებთ, რძის პროდუქტებზე ტექნიკური რეგლამენტის სწრაფად შემოღებას ფასების მატება და ტერმინოლოგიაში გაუგებრობა მოჰყვება.

უფრო მეტიც, ტექნიკური რეგლამენტი ფქვილზე მიღებული არ იყო. როდესაც საბაჟოებზე რუსეთიდან შემოსულ ფქვილს ტექნიკური რეგლამენტის პარამეტრებს სთხოვდნენ. ივნისში, ივლისსა და აგვისტოში საანალიზოდ ფქვილს სამხარაულის ბიუროში აგზავნიდნენ, აყოვნებდნენ ფქვილის შემომტანებს, რის შედეგადაც ფქვილის ფასი, (50 კგ ტომარა) 37 ლარიდან 44-45 და 46 ლარიც კი გახდა. ეს იმ დროს, როდესაც მსოფლიოში კატასტროფულად დაეცა ფასები ხორბალზე და ფქვილზე. სწორედ ასეთი ქმედებები გვაშინებს და გვაღელვებს. ვინ აგო პასუხი მეწარმეების წინაშე, როდესაც ხელოვნურად გაუძვირეს ნედლეული და შეუქმნეს ფინანსური პრობლემები? 27 ოქტომბერს გაზეთმა „რეზონანსმა“ ამას საგანგებო წერილიც მიუძღვნა: „საქართველომ მსოფლიოში გაიაფებული სურსათით ვერ იხეირა“.

ფქვილიც და პურიც სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით არ მიეკუთვნება რისკ ჯგუფს, რადგანაც დამზადებისას გადის თერმოდამუშავებას 230-250 გრადუსზე. ევროპელი ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ არ ავჩქარდეთ, თანმიმდევრულად მივუდგეთ ამ საკითხებს, რათა დამატებითი თავსატეხი არ გავიჩინოთ, ხომ ძალიან კარგად გამოჩნდა, თუ როგორ იყენებენ ჩვენში სხვადასხვა რეგულაციებსა და წესებს. ტექნიკური რეგლამენტი ბიზნესის შემაფერხებელი არ უნდა იყოს, პირიქით, მან ფალსიფიკატორებს გზა უნდა გადაუღობოს. რაც შეეხება კონკრეტულად პურს, არ შეიძლება ცალკე ტექნიკური რეგლამენტი ეხებოდეს ხორბლის ფქვილიდან დამზადებულ პურს და ცალკე ჭვავის ფქვილისგან დამზადებულს. პურზე რეგლამენტი მოგვიანებით უნდა მივიღოთ. ეს გამოიწვევს გაუგებრობებს, რადგანაც მომხმარებელს უფრო მეტად შავი და რუხი ჭვავის პურისგან დამზადებული ასორტიმენტების შემადგენლობა და ხარისხი აინტერესებთ, რისგან არის დამზადებული ასეთი პროდუქტი, არის თუ არა მასში სხვადასხვა დანამატები და გამოყენებულია თუ არა ფერები, რომელიც ასე ჭარბად გამოიყენება. ასეთი ასორტიმენტების დამზადებისას. საყურადღებო ის გარემოებაცაა, რომ სიტყვა დანამატი ტექნიკური რეგლამენტის პროექტში შეცვლილია სიტყვა „ფორტუფიკაციით“. დამეთანხმებით, ფართო საზოგადოებისთვის ეს სიტყვა სამხედრო ნაგებობების ზღუდეებთან არის გაიგივებული და ხალხში დაბნეულობას გამოიწვევს. ზოგიერთმა ჟურნალისტმა მიიჩნია, რომ ტექნიკური რეგლამენტი ნიშნავს ყველა პურის შეფუთულ მდგომარეობაში გამოშვებას, რაც არასწორია. მთელ მსოფლიოში არსებობს, როგორც შეფუთული, ასევე შეუფუთავი პური. სამწუხაროდ ჩვენში შეფუთვა ცალკე პრობლემაა, რადგანაც ზოგიერთი შეფუთვა პურზე ძვირია და მავანმა საკმაოდ მომგებიან ბიზნესად აქცია ამ მასალების წარმოება.

უნებურად დაგებადებათ კითხვა, როგორი ტექნიკური რეგლამენტი იქნება ქართულ პურზე? ეს მეტად საჭირბოროტო საკითხია. რადგანაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გახსნილი ქართული პურის თონეები ინტენსიური ტექნოლოგიის პრინციპით, ანუ დაჩქარებული ტემპით მუშაობენ. შეგახსენებთ, რომ დედას პურის ცომს წინა დღით აყენებდნენ, დამამჟავებლად ცომს ან მაწვნის დოს იყენებდნენ. იყო აგრეთვე ბუნებრივი დამამჟავებლებიც და მეორე დღეს ხელით იზილებოდა ცომი და ეკვრებოდა შეშით გახურებულ კერამიკულ ღუმელში, ასეთი პურის მარტო სურნელი ერთ რამედ ღირდა... დედას პური რამდენიმე დღე ინახებოდა. **თუ ქართული ქვევრის ღვინოს თვლიან კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშად, ალბათ ქართული დედას პურის კლასიკური წესით მწარმოებლებსაც შესაბამისი სტატუსი უნდა დაუმკვიდრდეთ, ხოლო ვინც სწრაფად და იაფად აწარმოებს ასეთ პურს, მას ტექნიკური რეგლამენტის ჩარჩოებში მაინც უნდა ვაიძულოთ საფუარის ნორმებისა და ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვა, რაც უსათუოდ წაადგება ქართული პურის პრესტიჟს.** რაც შეეხება ფქვილის ტექნიკურ რეგლამენტს, აქაც, ამ ეტაპზე აჩქარება არას გვარგებს, რადგანაც ქვეყანა, რომელიც თავის სამყოფ ხორბალს არ (ვერ!) აწარმოებს, ჯერ ხორბლის სათესლე მასალაზე და მის გაძლიერებაზე უნდა ვიფიქროთ!

რა თქმა უნდა, იქნება განსხვავებული აზრიც, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ აზრთა სხვადასხვაობაში, ანუ კამათში იბადება.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეწარმე

◎ ვითომ ასეა?!

ვანო მთვრალაშვილი: გავამყაროთ ლარი და ბენზინიც გაიაფდება!

ბოლო ერთი წლის განმავლობაში „შავი ოქროს“ ფასი მთელ მსოფლიოში თანდათან დაეცა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნავთობი კიდევ უფრო გაიაფდება. ანალოგიური პროგნოზი აქვთ მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებსა და უმსხვილეს ნავთობკომპანიებს, რომლებიც ერთხმად ადასტურებენ, რომ მსოფლიოში ნავთობის დაბალი ფასი კვლავაც შენარჩუნდება. მათი თქმით, ირანისთვის სანქციების მოხსნით, მსოფლიოში ნავთობის წარმოება, დღეში მილიონი ბარელით გაიზრდება, ხოლო მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2016 წლიდან, ირანის ნავთობის ბაზარზე დაბრუნება ფასების კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს.

რა მდგომარეობაა საქართველოს საცალო ქსელში? — ჩვენთან, ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე, 1 ლიტრი საწვავის საშუალო ფასი ასეთია: სუპერი 2,07-2,10 ლარი ღირს; პრემიუმი — 1,99-2,05 ლარი; რეგულარი — 1,83-1,98 ლარი; დიზელი L-62 — 1,77-1,80 ლარი; ევრო დიზელი — 1,92-1,99 ლარი. ხოლო არაბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი საწვავის ფასი 25-30 თეთრით ნაკლებია.

შედარებისთვის: რეგულარის ტიპის საწვავის საშუალო ფასი 2014 წლის 4-6 დეკემბრისთვის საქართველოში 1.93 თეთრი იყო, ხოლო თვის ბოლოს მისმა ფასმა 10 თეთრით დაიკლო და 1.83 შეადგინა. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა სხვა ტიპის საწვავზეც. როგორც ვხედავთ, საწვავის ფასი საქართველოში თითქმის არ შეცვლილა, რაც კარგა ხანია დიდ კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ანალიტიკოსი **ბექა კემულარია** მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ნავთობის ფასი მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ფასებზე არანაკლებ გავლენას ახდენს წმინდა პოლიტიკური ინტერესები. ამიტომ, ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა.

რატომ არ იცვლება საწვავის ფასი ქართულ ბაზარზე?

თუ ირანის ემბარგო მოიხსნება, ნავთობის მიწოდება გადააჭარბებს მასზე მოთხოვნას და ეს უმნიშვნელოვანესი პროდუქტი კიდევ უფრო გაიაფდება. ეს კი, ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე უარყოფითად აისახება, რადგან მათი ექსპორტის დიდი წილი ნავთობზე მოდის. რაც შეეხება ისეთ ქვეყნებს, რომლებიც მომპოვებლები არ არიან, ნავთობის ფასის შემცირება მათთვის კარგია, რადგან ამ დროს ქვეყნიდან ნაკლები უცხოური ვალუტა გაედინება.

იმას, რომ ნავთობის გაძვირება ქართულ ბაზარზე არ აისახება, ბექა კემულარია კომპანიებს შორის არსებული კარტელური შეთანხმებით ხსნის.

„კონკურენციის სააგენტომ დააჯარიმა 5 ყველაზე მსხვილი კომპანია საქართველოში, რადგან ისინი ფასებს შეთანხმებულად აწესებენ. აქედან გამომდინარე, ნავთობის გაიაფება-არგაიაფება პირდაპირ არ აისახება ჩვენთან არსებულ საცალო ფასზე, რადგან ეს კომპანიების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ნავთობკომპანიებმა გააპროტესტეს კონკურენციის სააგენტოს დასკვნა და გაასაჩივრეს, რის გამოც საქმე სასამართლოს გადაეცა. როდის დასრულდება ეს სასამართლო, არავინ იცის, თუმცა ფაქტია, რომ სააგენტომ შეისწავლა, დაადასტურა კარტელური შეთანხმება და მსხვილი კომპანიები კიდეც დააჯარიმა. ახლა სასამართლოში უნდა გაირკვეს, რამდენად სამართლიანი იყო ეს ჯარიმა და რატომ არ იცვლება საწვავის ფასი ქართულ ბაზარზე“, — აღნიშნავს ბექა კემულარია.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** არ უარყოფს, რომ ნავთობის ფასი მსოფლიოში ძალიან დაბალ ნიშნულზეა.

ნავთობის ფასი ბოლო თვეების განმავლობაში თანდათან ეცემოდა და დღეს წამყვან სანავთობო ბირჟებზე 43-48 დოლარის დიაპაზონში მერყეობს. ეს 2009 წლის შემდგომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამის ფუნდამენტური მიზეზია ის, რომ დღეს ნავთობის მიწოდება მსოფლიოში აჭარბებს მასზე მოთხოვნილებას. არსებობს სხვა, არანაკლებ სერიოზული მიზეზებიც, კერძოდ, ოპეკ-ის ქვეყნებს არ შეუმცირებიათ ნავთობის მოპოვება და არც აპირებენ მის შემცირებას. ადრე, როდესაც ნავთობის ფასი ეცემოდა, ისინი ამცირებდნენ ნავთობის მოპოვებას, რასაც ბაზარზე ნაკლები ნავთობის მიწოდება მოჰყვებოდა და ფასები არათუ მცირდებდა, იზრდებოდა კიდეც. თუ ამას დავუმატებთ ირანისთვის ემბარგოს მოხსნას და აშშ-ის მიერ სტრატეგიული მარაგების გახსნას, ნავთობის ფასი მომავალშიც დაბალი იქნება. გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდა შენელდა ჩინეთში, ეს ქვეყანა აშშ-ის შემდგომ ნავთობის ყველაზე დიდი მომხმარებელია და მისი ეკონომიკის შეფერხებამ ნავთობზე მოთხოვნა შეამცირა. ამ მიზეზების ერთობლიობა განაპირობებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის დაბალი ფასი კვლავაც შენარჩუნდება, — აღნიშნავს ვანო მთვრალაშვილი.

ვანო მთვრალაშვილის შეფასებით, რთულია იმის თქმა, თუ რა დონემდე შემცირდება ნავთობის ფასი, რაც შეეხება საქართველოს, აქ „შავი ოქროს“ ფასს სულ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს.

ვანო მთვრალაშვილის აზრით ნავთობზე დაბალი ფასის გამო დოლარი მყარდება. დოლარის გამყარებას კი, ლარის გაუფასურება მოჰყვა. სწორედ ამიტომ, რამდენადაც უნდა შემცირებულიყო საქართველოში საწვავის ფასი, იმდენად ვერ შემცირდა: მოგეხსენებათ, ნავთობკომპანიები პროდუქციას დოლარში ყიდულობენ და მერე ლარში ყიდიან. თუ ლარი გამყარდება, შესაბამისად, საწვავის ფასიც შემცირდება. ჩვენს ოპონენტებს უნდა ვუთხრა: **რატომ არ აქცევენ ყურადღებას რამდენად გაუფასურდა ლარი დოლართან მიმართებით? — შარშან 1 დოლარი 1,7 ლარი ღირდა, ახლა კი, 2,4 ლარი ღირს. თუ ეროვნული ვალუტა გაუფასურებას განაგრძობს, საწვავის ფასი საქართველოში ვერ შემცირდება. ამიტომ, სულაც არ მიკვირს, რომ ნავთობკომპანიები არ დაეთანხმნენ კონკურენციის სააგენტოს დასკვნას და გაასაჩივრეს**.

ხათუნა ჩიგოგიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი ჯიქურიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი ჯიქურიშვილი (პირადი №45001022046), ყვარელი, ლაშარის ქ. №19;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ყვარელი, ლაშარის ქ. №19 (საკადასტრო კოდი: 57.06.56.230);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30456.68 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 12 ნოემბერი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** გიორგი ჯიქურიშვილი (პირადი №45001022046), ყვარელი, ლაშარის ქ. №19;
მაია ჯიქურიშვილი (პირადი №45001022047), ყვარელი, ლაშარის ქ. №19;
ლაშა ჯიქურიშვილი (პირადი №45001022043), ყვარელი, ლაშარის ქ. №19.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 12 ნოემბრის, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით ოკუჯავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ოკუჯავა (პირადი №42001019180), ფოთი, კოლხეთის ქ. №51;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, კოლხეთის ქ. №51 (საკადასტრო კოდი: 04.02.02.092);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18190.17 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 12 ნოემბერი, 11:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** დავით ოკუჯავა (პირადი №42001019180), ფოთი, კოლხეთის ქ. №51.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 12 ნოემბრის, 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

დედამიწის ზურგზე



საერთაშორისო კოსმოსურმა სადგურმა პირველი ხანგრძლივი მისიის მუშაობის დაწყების 15 წლისთავი იდღესასწაულა

სწორედ ამდენი წლის წინათ საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბორტზე ავიდა პირველი ეკიპაჟი – რუსი კოსმონავტები სერგეი კრიკალევი და იური გიძენკო, აგრეთვე ამერიკელი უილიამ შეპარდი. დღეს ორბიტაზე უკვე 45-ე ექსპედიცია მუშაობს, თავად სადგური კი შეიცვალა და აცხადებს პრეტენზიას ნობელის პრემიაზე.

ბანგკოკის თავზე მეტეორიტმა გადაიფრინა

თვითმხილველებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ციური სხეულის ფრენა ქალაქის თავზე. ქსელში გაჩნდა ვიდეოჩანაწერები საავტომობილო ვიდეორეგისტრატორებიდან. ეს უკვე მეორე „მეტეორიტია“ ტაილანდის დედაქალაქის თავზე ამ შემოდგომით – მანამდე მეტეორიტი შენიშნეს 7 სექტემბერს.

სტამბოლში ორი ჟურნალისტი დააკავეს

როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, სტამბოლის პოლიციამ ჟურნალ „ნოკტას“ მთავარი რედაქტორი ჯევჰერი გიუვენი და ახალი ამბების განყოფილების რედაქტორი მურატ ჩაპანი დააკავა. სამართლდამცველებმა ასევე, „ნოკტას“ ოფისში ჩხრეკა ჩაატარეს.

როგორც ცნობილია, გამოცემა ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი. ადგილობრივი მედია წერს, რომ დაკავების მიზეზი ჟურნალის ბოლო ნომრის ყდაზე, პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განთავსებული სურათი გახდა წარწერით: „ორშაბათი, 2 ნოემბერი: თურქეთში სამოქალაქო ომის დაწყების დღე“.

პაკისტანში თვითმფრინავის ავარიულად დაშვების შედეგად 10 ადამიანი დაშავდა

პაკისტანში, თვითმფრინავის ავარიულად დაშვების შედეგად სულ მცირე 10 ადამიანი დაშავდა. ამის შესახებ „ბიბისი“ ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით იტყობინება.

თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც 100-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა, ქალაქ ლაჰორის აეროპორტში დაეშვა. ინციდენტის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა გახდა.

კემერონმა უარი განაცხადა გეგმებზე - მიაყენოს ავიადარტყმები „ისლამურ სახელმწიფოს“ სირიაში - ამბკიცებენ წყაროები

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა ვერ შეძლო მიეღო მხარდაჭერა ამ საკითხზე ლეიბორისტული პარტიისგან. ძალთა არსებული განაწილება კემერონს ამ საკითხში გამარჯვების გარანტიას არ აძლევდა კენჭისყრის დროს პარლამენტში, თუ კონსერვატორებს ექნებოდათ 12 ხმის უმრავლესობაც კი.

ობამამ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მრჩევლები მონაწილეობას არ მიიღებენ სირიაში სახმელეთო ოპერაციებში

როგორც ამერიკელმა ლიდერმა განაცხადა, სამხედრო სპეციალისტები, როგორც იუწყებოდნენ, გაწვრთნიან ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც ებრძვიან რუსეთის ფედერაციაში აკრძალულ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტულ დაჯგუფებას, გაუწევენ მათ კონსულტაციას და სხვადასხვაგვარ დახმარებას.

აშშ-ის პრეზიდენტმა ორწლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ორწლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა. როგორც „ბიბისი“ იტყობინება, მან რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს კომპრომისისთვის მადლობა გადაუხადა.

აშშ-ის კონგრესმა საბიუჯეტო გეგმა გასულ კვირას მიიღო. დოკუმენტის თანახმად, უახლოესი 2 წლის განმავლობაში აშშ-ის საბიუჯეტო ხარჯები 80 მილიარდი აშშ დოლარით გაიზრდება. დაწესდა ასევე აშშ-ის სახელმწიფო ვალის მაქსიმალური ზღვარი, რომლის გადახედვაც 2017 წლის მარტამდე აღარ მოხდება.

ბრაზილიაში წლინახევრის ბიჭმა დახრა გველი, იგი სათამაშოდ მიიჩნია

პატარა ლორენცო სახლის ეზოში თამაშობდა და საეჭვოდ მიყუჩდა. როდესაც დედამ იგი ნახა, აღმოჩნდა, რომ პატარამ სიკვდილამდე დახრა შხამიანი გველი. თვითონ ბავშვს ნაკბენის არანაირი ნიშანი არ აღმოაჩნდა. ქვეწარმავალი, რომელიც მან მოკლა, განეკუთვნება ჩხრიალა გველებს.

A 321-ის ავარიის ადგილზე ექსპერტებმა ნახეს ელემენტები, რომლებიც არ შეესაბამება მის კონსტრუქციას

ამის შესახებ საკდესის სააგენტოს აცნობა კაიროში ინფორმირებულმა მოსაუბრემ. „კატასტროფის ზონაში ექპერტებმა აღმოაჩინეს ელემენტები, რომლებიც არ მიეკუთვნება თვითმფრინავის კონსტრუქციას – თქვა წყარომ – ისინი გაეგზავნა ექსპერტებს“. ოფიციალურად ინფორმაცია კატასტროფის ადგილზე ნაპოვნის შესახებ არაა დადასტურებული. ამ დროს დაასახელეს თვითმფრინავის აფეთქების სიმაღლე ჰაერში.

საქმე №610-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,,საარბიტრაჟო სასამართლოს“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 2 ნოემბერი 2015 წელი

არბიტრი: ნანა ნებიერიძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ახალი კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ავთანდილ ჭიკაიძე, ნუგზარ ახობაძე, გიორგი ნაცვლიშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2015 წლის 2 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის ნუგზარ ახობაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 1 აპრილს შპს „ახალი კრედიტ”-სა და მეორეს მხრივ, ავთანდილ ჭიკაიძეს შორის დაიდო №10645 სესხის, გირავნობისა და თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ახალი კრედიტ”-მა მსესხებელზე გასცა 3700 ლარის ოდენობით სესხი, თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 30 ივნისი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც შეადგენს 51 ლარს, ხოლო სესხის ბოლო დღეს გადასახდელი თანხაა 49 ლარი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.6% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 1 აპრილს დადებული №10645 სესხის, გირავნობისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, ნუგზარ ახობაძემ და გიორგი ნაცვლიშვილმა აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე ავთანდილ ჭიკაიძის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნუგზარ ახობაძეს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნუგზარ ახობაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნუგზარ ახობაძე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს. ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნუგზარ ახობაძეს (პირადი №37001005433) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

10. ნუგზარ ახობაძეს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ.№2, მე-2 სართული, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხე ნუგზარ ახობაძეს, რომ მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ნუგზარ ახობაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 26 ნოემბერს 11:00 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11. დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ნუგზარ ახობაძის, გიორგი ნაცვლიშვილისა და ავთანდილ ჭიკაიძის მიმართ.

13. ნუგზარ ახობაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ნანა ნებიერიძე

საქმე №615-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,,საარბიტრაჟო სასამართლოს“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 2 ნოემბერი 2015 წელი

არბიტრი: ნანა ნებიერიძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ახალი კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ზურაბ ხუციშვილი, გიორგი თამაზაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2015 წლის 24 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის ზურაბ ხუციშვილისა და გიორგი თამაზაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 1 ივნისს შპს „ახალი კრედიტ”-სა და ზურაბ ხუციშვილს შორის დაიდო №12063 სესხის, გირავნობისა და თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ახალი კრედიტ”-მა მსესხებელზე გასცა 300 ლარის ოდენობით სესხი, თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 30 დღე, 2015 წლის 1 ივლისი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც შეადგენს გაცემული თანხის 1 პროცენტს.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ზურაბ ხუციშვილზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ზურაბ ხუციშვილს ოთხჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ზურაბ ხუციშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ზურაბ ხუციშვილი მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს. ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ზურაბ ხუციშვილს (პირადი №47001042395) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.
2. ზურაბ ხუციშვილს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ.№2, მე-2 სართული, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

3. განემარტოს მოპასუხე ზურაბ ხუციშვილს, რომ მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ზურაბ ხუციშვილს ეცნობოს, რომ 2015 წლის 26 ნოემბერს 11:30 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟ შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, მე-2 სართული, ბინა 11 დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ზურაბ ხუციშვილისა და გიორგი თამაზაშვილის მიმართ.
5. ზურაბ ხუციშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ნანა ნებიერიძე

◎ ჭადრაკი

ლომაია „ოქროს“ უმიზნებს

8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე ბერძნულ პორტო კარასში საქართველოს 20 წარმომადგენელი მონაწილეობს. ჩვენებურთაგან სხვებზე უკეთ 10-წლიანებში დიანა ლომაია ასპარეზობს, რომელიც რვა ტურის შემდეგ 7 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფს ჩინელ იუსინ სონთან ერთად. ლიდერები ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებენ მუნგუნზულსა (მონღოლეთი) და აიან ალახვერდიევას (აზერბაიჯანი).

რვა ტურის შემდეგ დანარჩენ ქართველთა შედეგები ასეთია: ნოე თუთისანი, ნინო ხომერიკი, თამარ ესაძე-5.5-5.5, ნიკოლოზ კაჭარავა-5, ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ჯაბა ადამია, ლადო მაღლაკელიძე, მარიამ ჭოლაძე, ლილე ქორიძე, მარიამ გოთოშია — 4.5-4.5, გიორგი სიბაშვილი, ირაკლი კელაპტრიშვილი, თეა ჭოლაძე — 4-4, ლუკა ლიჩელი, ლუკა ობოლაძე, გიორგი გელაშვილი, ეკატერინე ფიფია — 3.5-3.5, ნიკა ხვადაგიანი, მართა ოტიაშვილი — 3-3 ქულა.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: დიანა ლომაია.

◎ „მამლუქები“

„ქართული“ ჯეელი თურქულ ლიგაში

თურქეთის საკალათბურთო ჩემპიონატში ერთმანეთს მანუჩარ მარკოიშვილის „დარუშაფაკა“ და ვიქტორ სანიკიძის „ტედ ანკარა კოლეჯლილერი“ შეხვდნენ. მასპინძლებმა 82:69 იმარჯვეს.

სასიხარულოა, რომ ქართველი კალათბურთელები მოედანზე შესამჩნევი ფიგურები იყვნენ. მარკოიშვილმა 24 წუთს ითამაშა და 15 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

მანუჩარმა 4-დან 1 ორქულიანი, 6-დან 4 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

პერიმეტრიდან კარგად უტევდა სანიკიძეც, რომელმაც 4-დან 3 სამქულიანი გამოიყენა, თუმცა, საშუალო დისტანციიდან ვერ ივარგა. „ვიკამ“ 9-დან მხოლოდ 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმოც ჩააგდო და საბოლოოდ 12 ქულას 7 მოხსნა (3 შეტევაში) და 1 დაფარება წაამატა.

„დარუშაფაკას“ 2 მოგებით და ამდენივე წაგებით 16-გუნდიან ლიგაში მე-4 ადგილი უკავია, „ტედ ანკარა კოლეჯლილერი“ კი ოთხ ტურში ერთადერთი გამარჯვებით ჯერჯერობით მეშვიდეა.

მე-5 ტურში, რომელიც 7-8 ნოემბერს შედგება, სანიკიძის კლუბი „ქონიასპორს“ დაუხვდება, „დარუშაფაკა“ კი „იესილგირესუნს“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კარატე

მედლები სამეზობლოდან

ამ დღეებში ერევანმა ტრადიციულ, რიგით VI საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, სადაც საქართველოს შოტოკან კარატედოს კონფედერაციის გუნდიც მონაწილეობდა. 10 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენის დავაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ნაკრების წევრები, რომლებმაც საერთო მეორე ადგილს (ირანის შემდეგ) ინდივიდუალურ ბრძოლებში მოპოვებული 5 მედალი (1 „ვერცხლი“, 4 „ბრინჯაო“) დაუმატეს.

მსოფლიოს შოტოკან კარატედოს ფედერაციის ეგიდით გამართული პრესტიჟული ასპარეზობის (მთავარი მსაჯი ამავე ორგანიზაციის უფროსი ინსტრუქტორი, VIII დანის მფლობელი, იაპონელი **ჰიტოში კასუია**) პრიზიორები გახდნენ:

ანდრია კარბაია — 10-11 წლის ვაჟთა შორის ინდივიდუალური კატა. III ადგილი.

სანდრო წულაია — 10-11 წ. ინდივიდუალური კუმიტე. — 35 კგ. III ადგილი.

დავით ვარშანიძე — 12-13 წ. ინდივიდუალური კუმიტე. +40 კგ. III ადგილი.

დავით ზოზიაშვილი — +18 წ. უფროსები. ინდივიდუალური კუმიტე. +70 კგ. III ადგილი.

16-17 წ. ინდივიდუალური კუმიტე. +60 კგ. II ადგილი.

დავძენთ, რომ სომხეთის დედაქალაქში ჩატარებულ ტურნირს წინ უძღოდა ტექნიკური და პრაქტიკული სემინარი, სადაც „ჯვაროსნებმა“, როგორც ყოველთვის, მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ეს კი მათ შედეგებზეც სათანადოდ აისახა.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

შაფათავა - ძირითად ბადეში

საძმართველოს ორი წარმომადგენელი ჩაება ფრანგულ ნანტში მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე. სოფიო შაფათავამ რამდენიმე მეტოქე დაამარცხა, მათ შორის — იტალიელი ალისა მატეუცი — 6:3, 7:6 და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა. მას მხარი ვერ აუბა ოქსანა კალაშნიკოვამ. მართალია, მან ორი კონკურენტი ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ მესამე წრეში ფრანგ შლოე პაკოსთან დამარცხდა — 3:6, 4:6. ოქსანამ ვერც წყვილებში იყოჩაღა — სტარტზე ლატვიელ ანასტასია სევასტოვასთან ერთად პოლინა მონოვას (რუსეთი) და ჟილ ბელენ ტეიჩმანის (შვეიცარია) დუეტთან წააგო — 7:6, 5:7, 4:10. რუსულ-შვეიცარიული ტანდემი მეოთხედფინალში მეორე ნომრად განთესილ სოფიო შაფათავასა და ანასტასია ვასილიევას (უკრაინა) დაუპირისპირდება.

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებულ მსოფლიო კლასიფიკაციაში ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

ქალთა ერთეულები: 241 (237). სოფიო შაფათავა (189 ქულა), 374 (372). სოფიო ქვაცაბაია (94), 389 (383). ეკატერინე გორგოძე (89), 579 (578). მარიამ ბოლქვაძე (42), 683 (680). ოქსანა კალაშნიკოვა (27), 757 (748). თინათინ ყავლაშვილი (20), 1096 (1101). თამარ ჭალაგანიძე (7), 1195 (1197). ანა შანიძე (4).

წყვილები: 79 (79). ოქსანა კალაშნიკოვა (956), 135 (134). სოფიო შაფათავა (497), 156 (155). ეკატერინე გორგოძე (411), 346 (337). სოფიო ქვაცაბაია (147), 726 (724). მარიამ ბოლქვაძე 935), 778 (778). თინათინ ყავლაშვილი (30), 1110 (1108). ანა ახალკაცი (11), 1110 (1108). ანა შანიძე (11), 1177 (1177). თამარ ჭალაგანიძე (9).

ვაჟები. ერთეულები. 91 (88). ნიკოლოზ ბასილაშვილი (610), 300 (302). ალექსანდრე მეტრეველი (158). 921 (922). გიორგი ცივაძე (16), 1135 (1139). გიორგი ჯავახიშვილი (8), 1419 (1418). ალექსანდრე ბაქში (3), 2076 (2079). ირაკლი მეტრეველი (1).

მიმდინარე კვირას ინგლისში ქალთა 15.000-იან ტურნირში მოსინჯავს ძალებს მარიამ ბოლქვაძე. პირველ წრეში იგი მეტოქეობას მასპინძელ ჰოლი ჰატჩინსონს გაუწევს, ხოლო წყვილებში ბულგარელ ალექსანდრინა ნაიდენოვასთან ერთად ასევე ბრიტანელებთან — ემილი ეპლტონსა და ჟასმინ ამბერ აშგართან გაარკვევს ურთიერთობას. ალექსანდრე მეტრეველი ანტალიის 10.000-იან ტურნირში იასპარეზებს. იგი რეიტინგფავორიტია და სტარტზე ალექსანდრ ბობორიკინს (რუსეთი) შეხვდება.

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

ევროპის ერთა თასზე - მხოლოდ „თავისუფლები“

რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი 7-8 ნოემბერს მოჭიდავეთა ტრადიციულ ევროპის ერთა თასის გათამაშებას უმასპინძლებს. მასში ორივე სტილის („კლასიკური“ და „თავისუფალი“) წარმომადგენლები იასპარეზებენ. შეჯიბრებაზე 6-6 საუკეთესო ნაკრებს იწვევენ. საქართველოდან მხოლოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მიიღებენ მონაწილეობას. მათ შორისაც ყველა უძლიერესი არ იქნება.

ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ბექა ბუჯიაშვილი (გორი, 57 კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი, 61), ბექა ლომთაძე (ქუთაისი, 61), კონსტანტინე ხაბალაშვილი (გორი, 65), ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი, 65), დავით ტლაშაძე (გორი, 70), ჯუმბერ ყველაშვილი (გორი, 74), იაკობ მაქარაშვილი (თბილისი, 74), სანდრო ამინაშვილი (თბილისი, 86), ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი, 97), ომარ გუსოშვილი (გორი, 97), გიორგი საკანდელიძე (თბილისი, 125). **მწვრთნელები:** რევაზ მინდორაშვილი და დავით პოღოსიანი.

გივი გაგუა

◎ რაგბი

კარტერი საუკეთესოა, გორგოძე - ოცნების მოთამაშე

ახალი ზელანდიის მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მგზავი დენ კარტერი „მსოფლიო რაგბიმ“ 2015 წლის საუკეთესო მორაგბედ დაასახელა.

დაჯილდოების ცერემონიალი მსოფლიო თასის ფინალის მეორე დღეს ლონდონში გაიმართა. კარტერს კონკურენციას დევიდ პოქოქი (ავსტრალია), ჯულიან სავეა (ახალი ზელანდია), მაიკლ ჰუპერი (ავსტრალია), გრეიგ ლეიდლოუ (შოტლანდია) და ალუ ვუნ ჯონსი (უელსი) უწევდნენ. კარტერი 2005 და 2012 წლების შემდეგ წლის მორაგბედ მესამედ აღიარეს და ამ მაჩვენებლით ის „ოლ ბლექსის“ კაპიტან რიჩი მაკქოუს გაუტოლდა.

მას შემდეგ, რაც ახალი ზელანდიის ნაკრებმა მსოფლიო თასის ფინალში ავსტრალია 34:17 დაამარცხა და გახდა პირველი გუნდი, რომელმაც „უებ ელისის თასი“ წარმატებით დაიცვა, გასაკვირი სულაც არაა, რომ წლის გუნდად აღიარეს.

წლის საუკეთესო მწვრთნელად

ფინალში დამარცხებული ავსტრალიის ნაკრების დამრიგებელი მაიკლ ჩეიკა დაასახელეს, რომელმაც ამ პოსტზე სულ რაღაც 12 თვე გაატარა და გუნდი 4-წლედის უდიდესი სარაგბო ტურნირის გადამწყვეტ რაუნდში გაიყვანა.

კარტერი ფინალური შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეც გახდა. მან გუნდს 19 ქულა შესძინა და გადამწყვეტ მომენტში არეკნით და შორეული ჯარიმით გამოიჩინა თავი, რის შემდეგაც ავსტრალიას ჩამორჩენის აღმოფხვრის შანსი აღარ დარჩა. გარდა ამისა, ის ჭკვიანურად მართავდა მატჩის მსვლელობას. მან პირველად ითამაშა მსოფლიო თასის ფინალში და სანაკრებო კარიერას მსოფლიოს ჩემპიონის და წლის საუკეთესო მორაგბის რანგში დაემშვიდობა. კარტერის ანგარიშზე 1598 ქულაა 112 ტესტ-მატჩში.

წლის აღმოჩენის ჯილდოზე წარდგენილთა შორის იყო საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა 9 ნომერი ვასილ ლობჟანიძე, რომელმაც 18 წლის ასაკში ითამაშა მსოფლიო თასზე და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მორაგბე, რომელმაც ამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. სპეციალურმა კომისიამ წლის აღმოჩენად ახალზელანდიელი ნეჰე მილნერ-სქადერი დაასახელა და, სამწუხაროდ, ახალგაზრდა „ბორჯღალოსანი“ ამ ეტაპზე მხოლოდ ნომინანტობას დასჯერდა.

ტრადიციულად, დასახელდა მსოფლიო თასის „ოცნების გუნდი“ და სასიხარულოა, რომ მასში საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი მამუკა გორგოძეც მოხვდა.

2015 წლის მსოფლიო თასის ოცნების გუნდი: 15. აიუმუ გორომარუ (იაპონია), 14. ნეჰე მილნერ სქადერი (ახალი ზელანდია), 13. კონრად სმიტი (ახალი ზელანდია), 12. მეთ გიტო (ავსტრალია), 11. ჯულიან სავეა (ახალი ზელანდია), 10. დენ კარტერი (ახალი ზელანდია), 9. გრეიგ ლეიდლოუ (შოტლანდია); 1. მერკო აიერსა (არგენტინა), 2. სტეფან მური (ავსტრალია), 3. რამირო ერერა (არგენტინა), 4. ებენ ეცებეთი (სამხრეთ აფრიკა), 5. ლეონ ნაკარავა (ფიჯი), 6. მამუკა გორგოძე (საქართველო), 7. სხალკ ბერგერი (სამხრეთ აფრიკა), 8. დევიდ პოქოქი (ავსტრალია).

კობა კობახიძე

◎ ეროვნული ვალუტა

ახალი ბანკნოტები მიმოქცევაში 2016 წლიდან გამოვა

2016 წლიდან 20, 50 და 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები გამოვა და ძველ ბანკნოტებთან ერთად მიმოქცევაში იქნება.

ლარის ბანკნოტების განახლებულ დიზაინთან დაკავშირებით, სასტუმრო „თბილისი რუმსში“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ გამართა პრეზენტაცია, სადაც განახლებული ბანკნოტები წარადგინა.

როგორც ქადაგიძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, ეს არის ლარის 20-წლიანი ისტორიის მანძილზე ბანკნოტების დიზაინის პირველი მნიშვნელოვანი განახლება, პროექტი აერთიანებს ფულის ნიშნების წარმოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენას და ფაქტორს.

„არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა და ტექნოლოგიური პროგრესი. თავის დროზე ლარის ბანკნოტები საკმაოდ მაღალი სტანდარტის შესაბამისი იყო და პასუხობდა საერთაშორისო მოთხოვნებს. წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბეჭდვის პროცესი, შეიქმნა უფრო ძლიერი დამცავი ნიშნები. ახალი ტენდენციებია დიზაინის კუთხითაც, სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, გვქონოდა განახლებული დიზაინის ფულის ნიშანი, რომელიც თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო ვალუტებს შორის“, — განაცხადა ქადაგიძემ.

დიზაინერმა ბაჩა მალაზონიამ განაცხადა, რომ უკვე ჰქონდა გამოცდილება, რადგან 20 წლის წინ მოუწია მუშაობა პირველი ქართული ლარის დიზაინზე მამასთან, ნოდარ მალაზონიასთან ერთად. როგორც მალაზონიამ აღნიშნა, ეროვნულ ბანკს ჰქონდა ძალიან მკაფიო პოზიცია, შეენარჩუნებინა ის კონცეფტი, ისტორიული გარემო, პერსონაჟები, რაც არსებობს ლარზე, მაგრამ ყოფილიყო განახლებული.

როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ლარის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისთვის, მარტივად აღქმადი და ამავე დროს თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნები, მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის. ლარის განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი. საქართველოს ეროვნულ ბანკში შემუშავებული ლარის განახლებული ბანკნოტების ესკიზების სრულყოფაში მსოფლიოს წამყვანი კომპანიები მონაწილეობდნენ. მოგვიანებით 5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები განახლდება.

ლარის განახლებულ ბანკნოტებზე ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა აღარ იქნება. აღნიშნულთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადგიძემ განმარტა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე არის მხოლოდ იმ ინსტიტუტის ხელმოწერა, რომელიც ემისიაზეა პასუხისმგებელი.

◎ დედაქალაქი

სტიქიისგან დაზიანებული მაგისტრალი აღდგენილია

თბილისში, გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ გზაზე საავტომობილო მოძრაობა სრულად აღდგენილია. სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო მაგისტრალის ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები დასრულებულია. „მზიურის“ მიმდებარედ, დაზიანებულ მონაკვეთზე, დასრულდა ხიდის მშენებლობა, სარეკონსტრუქციო სამუშაოები და დაიგო ასფალტის საფარი. სარეაბილიტაციო სამუშაოები კომპანიებმა „ბლექ სი გრუპმა“ და „კავკასუს როუდ პროჯექტმა“ შეასრულეს. პროექტის ღირებულებამ 14.7 მლნ ლარი შეადგინა.

სრულად აღდგენილია საავტომობილო მოძრაობა მარშალ გელოვანის გამზირზე, სადაც მდინარე დიღმულაზე მდებარე ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობდა. ავარიულ ხიდს კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა, საყრდენი ნაწილი გამოიცვალა, დასრულდა ასფალტის ზედა ფენის დაგება, დაიხაზა და მოეწყო ახალი თვალამრიდები. ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შპს „მამისონი“ აწარმოებდა. დედაქალაქის ბიუჯეტიდან პროექტზე 1 მლნ ლარი დაიხარჯა. მდინარე დიღმულაზე გადასასვლელი ხიდი 1958 წელს დაპროექტდა და აშენდა. ბოლო რეკონსტრუქცია 1970-იან წლებში ჩაუტარდა, ხოლო გამოკვლევა 2013 წელს განხორციელდა.

განცხადება

2015 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა შპს „პეის ტერმინალის“ განცხადება, რომელშიც მოხდა ცვლილება და გთავაზობთ განმეორებით 4 ნოემბრის ნომერში.

2015 წლის 25 დეკემბერს 14 საათზე, შპს „პეის ტერმინალის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. ფოთი, დავითაიას ქუჩა 1), გაიმართება შპს „პეის ტერმინალის“ აკვატორიის და ტერიტორიის ფარგლებში უნივერსალური გადასატვირთი ნავმისადგომის კომპლექსის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ტვირთების გადატვირთვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

— შპს „პეის ტერმინალი“ ქ. ფოთი, დავითაიას ქუჩა 1.

— ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი, მის. ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. 12.

— დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge; www.aarhus.ge.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა გაზეთში გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „პეის ტერმინალის“ ადმინისტრაცია

◎ ო, ენავ ჩემო!..

სამართალმემკვიდრე თუ უფლებამონაცვლე?

ერთ გახმაურებულ სასამართლო პროცესზე განაჩენის კითხვისას, მოსამართლემ არაერთგზის იხმარა სიტყვა **უფლებამონაცვლე**. ზოგიერთმა შეცდომად ჩაუთვალა იურისტს ეს, **სამართალმემეკვიდრე** უნდა ეთქვაო. არადა თვითონ ცდებოდნენ: ეს ფორმა, როგორც ხელოვნურად შექმნილი და არაფრის მთქმელი, არც ერთ აკადემიურ წყაროში არ არის დადასტურებული. ამავე დროს იგი ფართოდ იხმარება პრესისა და საქმის ქაღალდების ენაში. ამის დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითიც კი იკმარებს. აი ისინიც:

ა) „...უკრაინასთან ჩვენ მხოლოდ თხოვნა შეგვიძლია, რუსეთიდან კი მოთხოვნა, რადგან ის სსრკ-ს **სამართალმემკვიდრეა“** (გაზეთი);

ბ) „...რევოლუციური ხელისუფლება უარს ამბობს წინა ხელისუფლების **სამართალმემკვიდრეობაზე“** (გაზეთი);

გ) „...ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს კონკრეტული უფლებამოსილება ან დადგენილი წესით მიჩნეულია პირის (სამართლებრივი ურთიერთობის) **სამართალმემკვიდრედ**... გრინოუქსის ან/და მისი შვილობილი (შვილეული! **— ავტ.**) კომპანიების საკუთრებაში მყოფი, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სრული ქონების/ნაწილების ან მისი ნაწილის ნებისმიერ **მემკვიდრეს სამართალმემკვიდრეს** უფლება აქვს“... (ხელშეკრულება) პრობლემაა!

ამ პრობლემის გადასაჭრელად განვიხილოთ „გ“ მაგალითის ბოლო ნაწილი, რომელშიც მოცემულია ჩვენთვის საინტერესო ორივე კატეგორია: „მემკვიდრე“ და „სამართალმემკვიდრე“. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ პირველს მეორესთან შედარებით არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს სამართალთან. ასეა კი?

დასმულ კითხვას რომ ვუპასუხოთ, მოვიმარჯვოთ შესანიშნავი წყარო — „ლათინური იურიდიული ფრაზეოლოგია“ („Юридическая литература“, М. 1979), რომელშიც წერია, რომ „heres est nomen juris; filius est nomen naturae — наследник есть имя юридическое; сын есть имя естественное“ (გვ. 103), ესე იგი, **მემკვიდრე იურიდიული სახელია,** ვაჟიშვილი კი ბუნებითიო.

მაშასადამე, „მემკვიდრე“ იურიდიული კატეგორიაა და მართლურთიერთობის მონაწილე სუბიექტის გამომხატველია. ამიტომაა იგი შეტანილი „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ (11 ერთეული) და მასთან დაკავშირებული ცნებანი განმარტებულია ქართულ ენციკლოპედიაში: „მემკვიდრეობა გარდაცვლილი პირის (სამკვდროს დამტოვებლის) ქონებისა და განსაზღვრული პირადი არაქონებრივი უფლებების სხვა პირზე (მემკვიდრეზე, **უფლებამონაცვლეზე)** გადასვლა“ (აქვეა განმარტებული ისეთი ტერმინოლოგიური შესიტყვებანი, როგორიც არის მემკვიდრეობითი სამართალი, კანონით მემკვიდრეობა, ანდერძით მემკვიდრეობა და სხვ).

ამ განმარტებაში განგებ გავუსვით ხაზი უფლებამონაცვლე სიტყვას და არცთუ უსაფუძვლოდ. სწორედ მას ენაცვლება ხელოვნურად შექმნილი „სამართალმემკვიდრე“

„უფლებამონაცვლე“ დადასტურებულია „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართულ ნაწილში, სადაც წერია:

правопреемник — უფლებამონაცვლე; правопреемник сингулярный — სინგულარული, ცალკეობითი უფლებამონაცვლე...; правопреемник универсалный — უნივერსალური, საერთო უფლებამონაცვლე და სხვ.

ამავე დროს ენციკლოპედია გვეუბნება: რომ

— უფლებამონაცვლეობა არის უფლება-მოვალეობის გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე (მაგ., გარდაცვლილი მოქალაქიდან მის მემკვიდრეზე). უფლებამონაცვლეობა ნიშნავს უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტის შეცვლას, ერთი პირი — მონაცვლე სხვის, თავისი წინამორბედის ადგილს იკავებს, მართლურთიერთობის შინაარსი კი არ იცვლება...;

ასე რომ, ზემოთ მოყვანილ „ა“, „გ“ მაგალითებში ყველგან „სამართალმემკვიდრის“ ნაცვლად უნდა იყოს „უფლებამონაცვლე“. რაც შეეხება „ბ“ მაგალითს — „...რევოლუციური ხელისუფლება უარს ამბობს წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობაზე“ — გაუგებარია, რისი თქმა სურდა ავტორს. თუ იგულისხმება უფლებამონაცვლეობა, ყოველი ახალი ხელისუფლება, უნდა თუ არა, ყოველთვის უფლებამონაცვლეა წინამორბედისა და უარს ვერ იტყვის ამ სტატუსზე. აქ შეიძლება საქმე ეხებოდეს **მემკვიდრეობას** (დანატოვარს) იდეურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მისთანათა მემკვიდრეობას (რუსულად ეს გამოიხატება სიტყვით „наследие“).

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის, საბედნიეროდ, შემთხვევები, როცა ძირითადი განსახილველი კატეგორიის მონაწილეობით ყალიბდება წინადადებანი. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი აქტით, რომლითაც მოხდა ზოგიერთი სამინისტროს რეორგანიზაცია, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ჩაითვლა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს **უფლებამონაცვლედ“**. ხოლო „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო — საქართველოს კულტურის სამინისტროს **უფლებამონაცვლედ“**. ამავე პრინციპს ეხმიანება ოფიციალური წერილიდან მოყვანილი ციტატა: „ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს **უფლებამონაცვლე** სამთავრობო დაწესებულების (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) მიერ“.

ჩვენც ამ პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ოთარ კაპანაძე

◎ კაცობრიობის მთავარი სენი

კიბოს უჯრედების „მზვერავები“

კიბოს დაავადებას უმეტეს შემთხვევაში სასიკვდილო შედეგი აქვს, როცა პირველადი სიმსივნიდან სხვა ორგანოებში გადადის მეტასტაზები. ასეთი მეტასტაზების გაჩენის მიზეზები ჯერ კიდევ 120 წელზე მეტი ხნის წინაა აღწერილი ე.წ. „თესლისა და ნიადაგის“ ჰიპოთეზაში. ჰიპოთეზის თანახმად, თავდაპირველად სიმსივნით მოცული ორგანო, რომ მეტასტაზების წარმოქმნამდე კიბოს სიმსივნე ერთგვარ „მზვერავებს“ აგზავნის. ეს ე.წ. ეგზოსომები კიბოს უჯრედის მემბრანის ნაწილებია, რომლებიც პროტეინებს, ლიპიდებსა და ნუკლეინის მჟავებს შეიცავს.

ნოს ქსოვილს კიბოს უჯრედები სცილდება. ლიმფისა თუ სისხლის მეშვეობით ისინი აღწევენ სხვა, დაშორებულ ორგანოებს, რომელთაც გარკვეული ტიპის ქსოვილი უნდა ჰქონდეს, რათა კიბოს უჯრედებმა გამრავლება შეძლონ.

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა, რომელიც ამ ჰიპოთეზით ხელმძღვანელობდა, დაადა ნიადაგი შეამზადონ მოგვიანებით იქ კიბოს უჯრედების მისვლისთვის. გამოკვლევის შესახებ იტყობინება ჟურნალი „Nature“.

ეგზოსომების ამოცანაა, იპოვონ კიბოს გამრავლებისთვის შესაფერისი ქსოვილები

როგორც მედიკოსთა ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი, ნიუ-იორკის უაილ კორნელის სამედიცინო კოლეჯის თანამშრომელი ექტორ პეინადო წერს, გამოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ეგზოსომების ზედაპირზე ერთგვარი ეტიკეტი და მისამართია დატანებული, რომლის მეშვეობითაც ისინი მკაცრად განსაზღვრული ორგანოებისკენ მიემართებიან და იქ გროვდებიან. შემდეგ კი იქ მეტასტაზები ჩნდება.

მკვლევარები მიზნად ისახავდნენ იმის გარკვევას, თუ რატომ ირჩევენ სხვადასხვა სახის კიბოს სიმსივნეები მეტასტაზებისთვის სხვადასხვა ორგანოებს. საამისოდ მათ ცხრა ტიპის კიბოს სიმსივნის უჯრედების ოცი კულტურა გამოიყენეს. მათთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომელი მათგანი რომელ ორგანოში ამჯობინებს მეტასტაზების წარმოქმნას: ფილტვებში, ღვიძლში, ტვინსა თუ ძვალში.

მეცნიერებმა შეისწავლეს, რა სხვაობაა ამ სხვადასხვა ტიპის უჯრედების პროტეინების შემადგენლობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ე.წ. ინტეგრინები - უჯრედის მემბრანის შემადგენლობაში შემავალი გლიკოპროტეინები, რომლებიც სხვა უჯრედებთან შესაკავშირებელ წერტილებს ქმნიან და, ამდენად, ინფორმაციის გადაცემა შეუძლიათ.

გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ინტეგრინების გარკვეული კომბინაციის მქონე ეგზოსომები ფილტვის ქსოვილს უკავშირდება, სხვა კომბინაციის მქონე ეგზოსომები კი - ღვიძლისას და ა.შ. ეგზოსომის ზედაპირზე ინტეგრინების სახეობის შესწავლით მოხერხდა იმის წინასწარ დადგენა, თუ რომელი ორგანოსკენ ეჭირათ მათ გეზი, რათა იქ „ნიადაგი“ შეემზადებინათ კიბოს მეტასტაზებისთვის.

მკვლევარებმა მიღებული ინფორმაცია შეამოწმეს ცხოველებზე ცდებით. ორგანიზმში ინიექციით გარკვეული ეგზოსომების შეყვანით ისინი ცვლიდნენ მეტასტაზების წარმოქმნის ადგილს. ამის შედეგად, მაგალითად, კიბოს უჯრედები, რომლებიც ჩვეულებრივ ძვლის ქსოვილში მრავლდება, მეტასტაზებს ქმნიდა ფილტვებში.

გამოკვლევის მნიშვნელოვანი დასკვნა ისაა, რომ ეგზოსომების ინტეგრინების ანალიზით შეიძლება დადგინდეს, რომელ ორგანოშია მოსალოდნელი მეტასტაზების გაჩენა.

შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ დანიშნულების ადგილზე ეგზოსომების მისვლის შემდეგ იქ იწყება ანთებითი პროცესები და სხვა ცვლილებები ქსოვილში, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის შემდგომში კიბოს უჯრედების ზრდისთვის.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თუკი მოხერხდება მედიკამენტებით ინტეგრინების ისე დაბლოკვა, რომ ეგზოსომმა ვეღარ იპოვოს ორგანო, რომელშიც ის იგზავნება, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა კიბოს სიმსივნის სხვა ორგანოებზე გავრცელების შეფერხება მაინც. ეს, თავის მხრივ, გაზრდიდა თერაპიის წარმატების შანსებს.

რადიო „თავისუფლება“

◎ კრიმინალი

მკვლელობა ტყიბულში

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული ნუკრი კ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 2 ნოემბერს, ტყიბულის მიმდებარე ტყის მასივში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1974 წელს დაბადებული მაია ჯ. მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში ტყიბულშივე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი – მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მამიკო, მეგობარს თუ უჭირს, ხომ უნდა დავეხმარო?

– კი შვილო, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები?

* * *

– რატომ არის ეს მინისტრი ასე იდიოტად გამოყვანილი, რისი თქმა უნდოდა ამით რეჟისორს?

– კაცო, ეს ფილმი კი არ არის, ახალი გადაცემაა პირდაპირ ეთერში...

* * *

ბავშვი ინტერესით აკვირდება, როგორ ჩააქვთ მურაბები სარდაფში.

– სად მიგაქვთ?

– სარდაფში. რომ მერე ზამთარში შევჭამოთ.

– კი, მაგრამ, ზამთარი ხომ იყო უკვე?

* * *

– ბრეჟნევი თბილისში რომ ჩამოვიდა, უკვე ძალიან დაჩაჩანაკებული იყო და ცოტას ურევდა კიდეც. აქ დიდი ამბით დახვდნენ; იყო, რა თქმა უნდა, ზღაპრული სუფრაც. ბრეჟნევს განსაკუთრებით მოეწონა ცოცხალი. იკითხა, რა ჰქვია ამ თევზსო.

– ცოცხალი, – უთხრეს, თან გადაუთარგმნეს, – ჟივოი.

– როგორ ჟივოი? – გაოცდა გენსეკი, ეს ცოცხალია?

– არა, ცოცხალი არაა, მკვდარია, მაგრამ ცოცხალი ჰქვია...

მოსკოვში რომ დაბრუნდა, ერთხელაც, მენიუს შედგენისას, ეკითხებიან – რას მივირთმევთ?

ბრეჟნევს ცოცხალი მონატრებოდა და შეძლებისდაგვარად აუხსნა, რა უნდოდა – აი, მკვდარი რომაა და ცოცხალი რომ ჰქვია...

შეფი შეფიქრიანებული დაბრუნდა და მზარეულებს ეუბნება:

– დავიღუპეთ, მგონი ლენინის შეჭმა უნდა ამ უბედურს...

* * *

– შენი რძალი კარგი დიასახლისია?

– აბა როგორ გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე